ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 1 მარტი, 2021 №31 (8560) ფასი: 60 თეთრი

## ზუგდიდში პოლიციამ ოქროს ბირჟაზე თავდამსხმელი მოკლა

გვ.5



# „ოცნება“ მელიას ნაღმზე აფეთქდა“



„დასავლეთთან 2 მთავარი მესიჯი უნდა მიდიოდეს: საით მიჰყავს ქვეყანა „ოცნებას“ და ის, რომ საქართველოს დაკარგვით დასავლეთი კარგავს ამ რეგიონში მთლიან კონტროლს. მეორე ის, რომ ხელისუფლების გადაბარების შემთხვევაში ოპოზიცია შეინარჩუნებს სტაბილურობას ქვეყანაში. ოპოზიციამ დასავლეთიც და საზოგადოებაც უნდა დაარწმუნოს თავის ღირებულებებში“



ხათუნა ლაგაზიძე: „მთავარ ოპოზიციურ პარტიაზე შტურმის სახით დასავლეთმა „ქართული ოცნებისგან“ ალიყური მიიღო“

გვ.3



## „ივანიშვილი არ წასულა, ღარიბაშვილში განსხეულდა“

გიორგი კაპანაძე: „ჩვენ ვალდებულნი ვართ, დისკომფორტი შევუქმნათ „ქართული ოცნების“ პირველ პირებს“



გვ.3



გვ.4

## სოსო შატბერაშვილი: „გახარიას ისეთ რეკლამას უკეთებენ, სავარაუდოდ, პარტიას ქმნის“

„ძალადობას გმობს ყოფილი მერი უგულავა, რომელმაც 2005 წელს საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციას დამსჯელი რაზმები მოგვისია“



გვ.4

## „პროკურატურამ თუ არ იცის, ვასწავლი, როგორ გამოუშვას მელია“

ლევან ალაფიშვილი: „ვაქცინის თემა ხელისუფლებას ზვავივით წაიყოლებს“



## ნაციონალებს შეუძლიათ, ტექნიკა უკან წაიღონ

გვ.5

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „გული მწყდება, რომ გრიგოლ ვაშაძეს სიტყვა არ დაუძრავს“

მეუფე იაკობი: „მელია ვერც განდი გახდა უცხოელებისთვის, ვერც მანდელა და ვერც სერვანტესი“

6 ბაიდენი: „აშშ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს!“

5 ვახო სანაიაზე თავდასხმის გამო დაკავებულ სამივე პირს პატიმრობა შეეფარდა

6 ნავალნის კოლონიაში მზარეულის პროფესიას შეასწავლიან

# ნიკა მელია: „გული მწყდება, რომ გრიგოლ ვაშაძეს სიტყვა არ დაუძრავს“



– გული ძალიან მწყდება იმაზე, რომ სიტყვა არ დაუძრავს კაცს, რომელთანაც პირადი მეგობრობა მქონდა, რომელიც ჩემი პარტიის ლიდერი იყო წლების განმავლობაში – გრიგოლ ვაშაძეს ვგულისხმობ!

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ „მთავარი არხისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მელიას განცხადებით, ვაშაძეს ხმა არ ამოუღია პარტიის ცენტრალური ოფისის „აღებაზე“, რომელმაც პრეზიდენტად წარადგინა და, რომ არა მოპარული არჩევნები, აარჩევინა კიდეც მოსახლეობას.

– არ ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა, მაგრამ, ალბათ, ჯობს, ვთქვა. გული ძალიან მწყდება იმაზე, რომ ნათია მეზვრიშვილმა, 20 ივნისის დამრბევი გახარიას მაშინდელმა მოადგილემ, საჯაროდ დამიცვა. ეს ერთი მაგალითია, ბევრმა სხვა ყოფილმა „ქოცმა“, რომ არაფერი ვთქვათ სხვებზე და ამ დროს სიტყვა არ დაუძრავს კაცს, რომელთანაც პირადი მეგობრობა მქონდა, რომელიც ჩემი პარტიის ლიდერი იყო წლების განმავლობაში – გრიგოლ ვაშაძეს ვგულისხმობ. ჩემს დაცვას ვინ დაეძებს, პარტია, რომელსაც წლები ხელმძღვანელობდა, პარტია, რომელმაც პრეზიდენტად წარადგინა და, რომ არა მოპარული არჩევნები, აარჩევინა კიდეც მოსახლეობას, აი, ამ პარტიის ცენტრალური ოფისის აღებაზე კაცს ხმა არ ამოუღია. მისი პირადი კაბინეტის, ყოფილის, აღებას უყურა და ხმა არ დაუძრავს. მთელი საქართველო და მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობს, ყველა, ნაცმოძრაობის ყოფილი ლიდერის, გრიგოლ ვაშაძის გარდა. ამაზე მწყდება გული, მეტი არავისზე და არაფერზე, – განაცხადა მელიამ.

# მეუფე იაკობი: „მელია ვერც განდი გახდა უცხოელებისთვის, ვერც მანდელა და ვერც სერვანტესი“



მეუფე იაკობმა ხირსის მონასტერში ნიკა მელიას დაკავების შესახებ ისაუბრა.

– დაიჭირეს მელია. თუ დაჭერა უნდოდათ, ძალიან ბევრჯერ შეეძლოთ დაჭერა, დიდი ხანი გავიდა 20 ივნისის მერეც, სამაჯური რომ მოისროლა, იმის მერეც, ოპოზიცია იმაზე მიდიოდა, რაც მეტ შეცდომას დაუშვებს ხელისუფლება, მთავარია, უცხოეთში დასაყრდენი ეპოვნათ. სინამდვილეში ჩვენს ქვეყანაში დასაყრდენი გაერთიანებულ ოპოზიციასაც არ აქვს.

ოპოზიციის გარკვეულ ძალებზე ხალხი ისე არის განწყობილი, 20 ივნისსაც კონკრეტული პოლიტიკური ძალა რომ არ მისულიყო ახალგაზრდების აქციაზე, მე ვფიქრობ, საქართველოში სხვანაირად განვითარდებოდა სიტუაციები.

მელიას დაჭერა გამოიყენა ოპოზიციამაც, ჩემი მხრიდან პროკურატურას არ უნდა შეეტანა, პარლამენტარებსაც არ უნდა გაეკეთებინათ, არც 88 კაცს არ უნდა მიეცა ყველას ხმა, პარტიაში ყველას ერთი აზრი როგორ უნდა ჰქონდეს, ხო?! მერე სასამართლო იყო. გარედან როცა უყურებ პროცესებს, ცოტა ცუდად ჩანს.

ვთქვათ, მოხდება მერე ისე, ვერ დამიჭერთ, ვერ დამიჭერთო სხვებიც გამოდიოდნენ და არ გაგატანთო, მოხდა ისე, მივიდნენ. კარგად ვნახე ზოგიერთი ოპოზიციური ლიდერი იქიდან გარბოდა, შეატოვეს მელია, დაიჭირეს.

ამერიკიდან და ევროპიდან სრულიად სამართლიანი საყვედურები, მძიმე განცხადებები წამოვიდა. ეს რამდენი ხანი გაგრძელდება, ცოტა ხანში ოპოზიციაც გაახსენდებათ, პროკურატურამ ახლა თქვა თუ გადაიხდისო გირაოს, გავუშვებთო, ამას ხო მსოფლიო უყურებს, თუ არ გადაიხდის მსოფლიო ხო უყურებს, არ შეხედავენ ლიდერად. ასე რომ, ნიკას დაჭერით, თუ მანამდე აგორდა, როგორც სიტუაციამ გვაჩვენა, ვერც განდი გახდა უცხოელებისთვის და ვერც ნელსონ მანდელა, მით უმეტეს, ვერც სერვანტესი.

როგორც ყოველთვის, ახლაც არც ერთი ლიდერი არ დაზიანდა ნიკა მელიას დაკავების დროს, ისევე, როგორც 20 ივნისს.

უცხოეთი ცოტა ხანში მოიკითხავს ამათ (ოპოზიციას), თუ არ გადაიხდის, მელია უცხოეთისთვის აღარ იქნება გონიერი პოლიტიკოსი, ვიცი, ამერიკა და ევროპა როგორ უყურებს, თუ გამოვიდა, ნიკა მელიას ის ლიდერები დაასამარებენ.

# საქართველოში შეზღუდვების ნაწილი დღეიდან იხსნება

**საქართველოში დღეიდან, 1 მარტიდან, კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების ნაწილი იხსნება. შესაბამისი გადაწყვეტილება კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ რამდენიმე დღის წინ მიიღო. კერძოდ, შეზღუდვების შემსუბუქების გეგმა, რომელიც დღეიდან ამოქმედდება, ასეთია:**




რესტორნები შიდა სივრცეებში ფუნქციონირებას განაახლებენ, შაბათ-კვირის გარდა, ბათუმში 1-ელი მარტიდან, ხოლო დანარჩენ საქართველოში – 8 მარტიდან;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები როგორც საჯარო, ისე კერძო, ფუნქციონირებას აღადგენენ 1-ელი მარტიდან 2 კვირაში ერთხელ თანამშრომლების 20%-ის სავალდებულო ტესტირების პირობით;

უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული საქმიანობის აღდგენას და გამოცდების არადისტანციურ ფორმატში ჩატარებას შეძლებენ 1-ელი მარტიდან, ხოლო სასწავლო პროცესის აუდიტორიებში აღდგენას – 15 მარტიდან;

კონფერენციები და ტრენინგები შესაბამისი პროტოკოლის დაცვით განახლდება 1-ელი მარტიდან;

მუზეუმები და ბიბლიოთეკები საქმიანობას განაახლებენ 1-ელი მარტიდან;

საკოორდინაციო საბჭოზე მიღებულია გადაწყვეტილება, ქვეყანაში ვიზიტორების დაშვებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემდგომ შემსუბუქებაზე, კერძოდ, იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს საქართველოს საჰაერო საზღვრის გავლით ქვეყანაში შემოსვლა შეუძლიათ PCR ტესტის ნეგატიური პასუხით, 1-ელი მარტიდან ემატება შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, ბელარუსი. სახმელეთო საზღვრებზე ამ ეტაპზე ისევ ნარჩუნდება დღეს მოქმედი რეჟიმი.

ამასთან, ძალაში რჩება 21:00 საათიდან დილის 5:00 საათამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა;

რაც შეეხება შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ ეტაპს:

სამთო კურორტებზე არსებული საბაგიროები გაიხსნება 8 მარტიდან, ასევე ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;

სპორტული დარბაზები ფუნქციონირებას განაახლებენ 15 მარტიდან განსაზღვრული რეგულაციების დაცვით;

სასკოლო წრეები ასევე განახლდება 15 მარტიდან;

თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას შეძლებენ 15 მარტიდან, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენას (თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები მაყურებლის დასწრებით) 1-ელი აპრილიდან;

არასასურსათო საცალო ვაჭრობა შაბათ-კვირის ჩათვლით, იგულისხმება როგორც სავაჭრო მოლები, ისე ბაზრობები, მუშაობას განაახლებენ 8 მარტიდან.

# შარლ მიშელი საქართველოში ჩამოვიდა



ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი 28 თებერვალს, საღამოს, საქართველოში ჩამოვიდა.

შარლ მიშელს აეროპორტში საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, ევროკავშირში საქართველოს ელჩი ნატალი საბანაძე დახვდნენ.

დღეს, პირველ მარტს, შარლ მიშელი სალომე ზურაბიშვილს შეხვდება, რის შემდეგაც მედიისთვის მათი ერთობლივი განცხადებები გაკეთდება.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შეხვდება პრემიერ ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს თალაკვაძეს, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერებს.

ევროსაბჭოს პრეზიდენტი ეწვევა საოკუპაციო ხაზს და დაესწრება ევროკავშირის წარმომადგენლობის ახალი ოფისის გახსნას.

შარლ მიშელი საქართველოს 2 მარტს დატოვებს.

# ბერდია სიჭინავამ მთავრობის ადმინისტრაცია დატოვა



მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შემდეგ ღარიბაშვილის უწყებას ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეც ტოვებს.

ბერდია სიჭინავამ ამის შესახებ 26 თებერვალს სოციალურ ქსელში დაწერა და მადლობა ყოფილ პრემიერ გიორგი გახარიას გადაუხადა.

„განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას – უაღრესად ღირსეულ, სწორი ფასეულობების და მაღალი პრინციპების ადამიანს, განსაკუთრებული უნარების მენეჯერსა და ნამდვილ ლიდერს, რომელმაც მასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა მომცა“, – დაწერა ბერდია სიჭინავამ.

შეგახსენებთ, მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კახა ქემოკლიძემ თანამდებობა 24 თებერვალს დატოვა.

# თეა გოდოლაძე: „ნამახვანჰესს 7-ბალიანი მიწისძვრა დაანგრევს“



– ნამახვანჰესი დაახლოებით 5-მაგნიტუდიან მიწისძვრაზეა გათვლილი, 7-იანზე ის დაინგრევა.

ამის შესახებ „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა თეა გოდოლაძემ „მთავარი არხის“ ეთერში ისაუბრა.

წამყვანის შეკითხვაზე, რამდენად რეალურია საფრთხეები და რა რისკების წინაშე დგას რეგიონი ჰესის აშენების შემთხვევაში, გოდოლაძე პასუხობს, რომ პროექტი ლოკალურ ბუნებრივ რისკებზე გათვლილი არ არის და კომპანიას რაჭა-ლეჩხუმში არანაირი კვლევა არ ჩაუტარებია.

– იმ საბუთებით, რა საბუთებითაც მათ (კომპანიამ) მიიღეს მშენებლობის ნებართვა, პროექტი გათვლილია 178-ჯერ ნაკლები სიმძლავრის მიწისძვრაზე ანუ შესაძლებელია მოხდეს 7-მაგნიტუდიანი მიწისძვრა. თუ ეს მოხდა, ის აუცილებლად დაინგრევა, იმიტომ რომ დაახლოებით 5 მაგნიტუდაზეა ის გათვლილი, – ამბობს თეა გოდოლაძე.

მისივე თქმით, მთელი ხეობა არის მოწყვლადი, კომპანიაში კი ამბობენ, რომ კვლევები ადგილის მიუდგომლობის გამო ვერ ჩაატარეს.

თეა გოდოლაძე ამბობს, რომ კომპანიის წარმომადგენლები ტყუიან:

– თუ ჩვენ ვახერხებთ საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში მისვლასა და კვლევების წარმოებას, რატომ ვერ მივიდა კომპანია – მარტივი მიზეზის გამო, თუ საფუძვლიანი კვლევა ჩატარდება ლოკალურად, ეს იქნება ძალიან დიდი და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ნათლად დაანახებს მოსახლეობასაც, სპეციალისტებსაც და დამფინანსებლებსაც, რომ ძალიან დიდი რისკებია ამ ხეობაში. ასეთი ტიპის მშენებლობა დიდ ზიანს მიაყენებს რეგიონს.

გუშინ, 28 თებერვალს, ქუთაისში ნამახვანჰესის წინააღმდეგ მასშტაბური აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებასა და თურქულ კომპანია „ენკას“ 2-კვირიანი ვადა მისცეს და ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიამ სამშენებლო ტერიტორია უნდა დატოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქუთაისში აქციები ისევ გაიმართება და ქალაქის პიკეტირებაც დაანონსდა.

რიონის მცველების პროტესტს მესამე სექტორი, სასულიერო პირები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები შეუერთდნენ.

„ოცნების“ ხელისუფლებამ თურქულ კომპანიას ხეობა 99-წლიანი ვადით გადასცა.

# იანვარში საქართველოს ეკონომიკა 11,5%-ით შემცირდა

– 2021 წლის იანვარში საქართველოს ეკონომიკა 11.5%-ით შემცირდა.

ამის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ განაცხადა.

– დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2021 წლის იანვარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სახეზე გვაქვს საქართველოს ეკონომიკის 11.5%-იანი ვარდნა, – აღნიშნა გოგიტა თოდრაძემ.

მისივე განცხადებით, 2021 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, დამამუშავებელი მრეწველობა, განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი. ამასთან, ზრდა დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სფეროებში.

ამასთან, 2021 წლის იანვარში ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობამ 2835 შეადგინა, რაც 23.3%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნება“ მელიას ნაღმზე აფეთქდა“

## „მთავარ ოპოზიციურ პარტიაზე შტურმის სახით დასავლეთმა „ქართული ოცნებისგან“ ალიყური მიიღო“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა რეალობა მივიღეთ დღევანდელი მოცემულობით და ხომ არ მიდის ქვეყანა დიქტატურისკენ? „ოცნება“ მუშაობს ცუდად თუ ოპოზიცია — კარგად და რას უწონებს ან უწუნებს ოპოზიციას მოქმედებებში? რა იქნება დასავლეთისთვის გადამწყვეტი და რა აქვს ასახსნელი ოპოზიციას დასავლეთისა და ქართველი საზოგადოებისთვის? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.**

***– რა რეალობა მივიღეთ დღევანდელი მოცემულობით? ვხედავთ დასავლეთიდან კრიტიკულ გ ზავნილებს და, ამავე დროს, არის აქციები. მიდის თუ არა ქვეყანა დიქტატურისკენ?***

– დღევანდელი მოცემულობა, უპირველეს ყოვლისა, კარგად ხსნის იმას, თუ რატომ წავიდა ივანიშვილი. პირველი მიზეზია ის, რომ ის გულდამშვიდებული წავიდა ოპოზიციის სისუსტის შემხედვარე. წავიდა იმიტომ, რომ მან ჩათვალა, ოპოზიცია ვერაფერს დააკლებდა თუნდაც იმ სუსტ გუნდს, რომელიც მან დატოვა ხელისუფლებაში, ამავდროულად, გაერიდა ეკონომიკურ კრიზისს. იანვარში ქვეყნის ეკონომიკა 11.5%-ით შემცირდა, რაც სრული კატასტროფაა.

ვაქცინა ვერ შემოდის, ქვეყანა გაიხსნა, მაგრამ მთავრობას ნებისმიერ დროს შეუძლია, ჩაკეტოს ქვეყანა. ამ ვითარებაზე ივანიშვილმა პასუხისმგებლობა მოიხსნა, თუმცა, მიუხედავად ოპოზიციის სისუსტისა, ხელისუფლებაში უმეტესობა იმდენად ცხელთავიანი დარჩა, რომ თავიანთივე დადებულ ნაღმებზე აფეთქების საშიშროება ძალიან მაღალია და მელიას ეპიზოდში პირველივე ნაღმზე აფეთქდნენ.

ივანიშვილის წასვლისა თუ გვერდზე გადგომის შემდეგ ეს იქნება პირველი სერიოზული ტესტი ოპოზიციისთვის. ასეთი სერიოზული ფორა ოპოზიციას ამ 8 წლის განმავლობაში ბევრჯერ არ ჰქონია.

დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ „ოცნებას“ დემოკრატიულობის ნიღაბი მაინც შეენარჩუნებინა. ახლა კი ეს ნიღაბი ჩამოიხსნეს. ლიეტუვის სეიმის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის უაღრესად ხისტი განცხადება იყო რეაქცია იმაზე, რაც მან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისგან მოისმინა, ის, რომ მელიას დაჭერა შეცდომა კი არა, დასაწყისი იყო იმ პროცესებისა, რომლებსაც „ქართული ოცნება“ გეგმავდა. მოკლედ, გზავნილი იყო ის, რომ „ოცნების“ გეგმის მიხედვით, მელიას ბედს ოპოზიციის სხვა ლიდერებიც გაიზიარებდნენ და აქტივისტებიც ციხეებში ამოყოფდნენ თავს. ამას ჰქონდა ერთი გამართლება, რომ თურმე სრულიად ოპოზიცია თავისი აქტივისტებით არის ნეობოლშევიკური ძალა. ისინი სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდნენ და ხელისუფლების მიზანია, ქვეყანა საფრთხისგან იხსნას.

ამას რომ მოისმენდა ლიეტუველი დეპუტატი, რა ხასიათზეც დადგებოდა, ადვილი წარმოსადგენია. ეს კაცი თავად ძალიან გავლენიანია ამერიკასა და ევროპაში. ამის დასტურია წერილი, რომელსაც მასთან ერთად ძალიან ბევრი ქვეყნის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე აწერს ხელს.



***– დემოკრატიის ნიღბის ჩამოხსნამ გამოიწვია დასავლეთის ასეთი მწვავე რეაქცია?***

– დასავლეთისთვის შეურაცხმყოფელია იმ ფაქტის წინაშე დადგომა, რომელიც მოხდა. მის თვალწინ და მისი ძალისხმევით შენდებოდა დემოკრატია და უცბად მთავარ ოპოზიციურ პარტიაზე შტურმის სახით მან „ქართული ოცნებისგან“ ალიყური მიიღო. თუმცა კარგი, რაც გამოჩნდა ამ ბოლო დღეების განმავლობაში დასავლეთის უპრეცედენტო რეაქციით, არის ის, რომ აშშ-ს საქართველოს მიმართ სერიოზული ინტერესები აქვს შერჩენილი და რომ საქართველო დასავლური სამყაროსთვის ჯერ კიდევ რეალურ ღირებულებას წარმოადგენს.

რეალურად უნდა მოხდეს ავტორიტარული მმართველობიდან გადაზღვევა და საქართველოს გამოხსნა რუსეთის კლანჭებიდან.

დასავლეთთან 2 მთავარი მესიჯი უნდა მიდიოდეს: საით მიჰყავს ქვეყანა „ოცნებას“ და ის, რომ საქართველოს დაკარგვით დასავლეთი კარგავს ამ რეგიონში მთლიან კონტროლს. მეორე, ის, რომ ხელისუფლების გადაბარების შემთხვევაში ოპოზიცია შეინარჩუნებს სტაბილურობას ქვეყანაში. მესამე, ოპოზიციამ დასავლეთიც და საზოგადოებაც უნდა დაარწმუნოს თავის ღირებულებებში.

***– დღეს ვერ არწმუნებს?***

– ვერა. ჯერ ერთი, საზოგადოებაში არის ცვლილებების მოთხოვნა. ოპოზიციას სრული განახლება სჭირდება, ახალი სახეები და ახალი იდეები. რაც მთავარია, მას სჭირდება პოლიტიკური დღის წესრიგის გაფართოება. დემოკრატია და უსაფრთხოება თითოეული ჩვენგანის ღირებულებაა, მაგრამ ამის პარალელურად კიდევ სხვა სამუშაოა საჭირო. ეს ვერ ამოავსებს არსებულ პრობლემებს — სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვისა თუ განათლების პრობლემები უმნიშვნელოვანესია. ამიტომაც დღის წესრიგი უნდა გაფართოვდეს და რაც შეიძლება ხალხის მეტი რაოდენობისთვის იყოს გასაგები, რატომ უნდა დადგნენ ოპოზიციის გვერდით.

ასევე მნიშვნელოვანია ის, როგორ საქართველოს სთავაზობს ოპოზიცია საზოგადოებას. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ ოპოზიცია არ აღიქმებოდეს „ოცნების“ ამომრჩევლისთვის საფრთხის შემცველად.

# „ივანიშვილი არ წასულა, ღარიბაშვილში განსხეულდა“

## გიორგი კაპანაძე: „ჩვენ ვალდებულნი ვართ, დისკომფორტი შევუქმნათ „ქართული ოცნების“ პირველ პირებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი კაპანაძე პასუხობს.**

***– გიორგი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ოპოზიცია აქციებს აქციებზე აანონსებს, თუმცა, მეორე მხრივ, გვესმის სერიოზული კრიტიკა, აი, სულ ეს ხართ ოპოზიცია, ხალხი ვერ გამოიყვანეთო. თავად ოპოზიციის წევრებშიც გაჩნდა შეფასებები, ხალხი იმიტომ არ გამოდის, ძველი სახეები ყველას მობეზრდაო. რა ხდება, ოპოზიციაში დიდი აზრთა სხვადასხვაობაა?***

– პირველი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ოპოზიცია ინარჩუნებს ერთიანობას. დაანონსებულია აქციები. ეს უწყვეტი პროტესტი გაგრძელდება იქამდე, სანამ საქართველოს მოქალაქეები არ მიიღებენ იმას, რასაც ითხოვენ სამართლიანად. ეს არის ახალი საპარლამენტო არჩევნები და ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტა, ნიკა მელიას გათავისუფლება, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა, ასევე ჯაფარიძე-ხაზარაძის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტა და მათ შორის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმეც უნდა შეწყდეს. ეს ბრძოლა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, გაერთიანებული ოპოზიციის სახელით, უკავშირდება, ჩვენი ქვეყნის უკეთეს ხვალინდელ დღეს. ვისაც აწუხებს გაჭირვება, სიღარიბე, უმუშევრობა, ცხოვრების



გაძვირება, დარწმუნებული ვარ, ყველა ის ადამიანი შემოგვიერთდება. პროტესტი, რომელიც დღეს თბილისის ქუჩებში მიმდინარეობს, არ არის პარტიული. ეს არის ყველას პროტესტი და მოვითხოვთ ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს.

***– მაშინ, რატომ არ გამოდის ხალხი ქუჩაში? მით უმეტეს ამბობთ, რომ ოპოზიცია ამ საკითხებში გაერთიანებულია. აცხადებთ, რომ ნახევარ მილიონზე მეტი ხმა აიღეთ. სად არის ეს ხალხი?***

– ის, რომ თურმე გაერთიანებულ ოპოზიციას ხალხი ქუჩაში ვერ გამოჰყავს, არის „ქართული ოცნების“ რიტორიკა. სამწუხაროდ, ისინი მოწყვეტილნი არიან რეალობას და თავებს ითვლიან. საქმე თავების დათვლა არ არის. საქმე არის ის, რომ საქართველოს მოქალაქეს „ქართულმა ოცნებამ“ მოჰპარა არჩევანი. საქართველოს მოქალაქეს „ქართულმა ოცნებამ“ გააუქმა არჩევნები. საქართველოს მოქალაქეს „ქართულმა ოცნებამ“ უთხრა, მე ნებისმიერ შემთხვევაში დაგიჭერ მაშინ, როდესაც ამას გადავწყვეტ, არ მაინტერესებს კონსტიტუცია და საერთოდ არ მაინტერესებს კანონიო. შტურმით მისვლა მთავარი ოპოზიციური პარტიის ოფისზე, ნიკა მელიას დაკავება, ცხადია, უკან გადადგმული ნაბიჯია ნატოსა და ევროკავშირისაკენ. ჩვენ ამ ფაქტით, რომელიც განახორციელა და ჩაიდინა ღარიბაშვილმა, ფაქტობრივად, დავშორდით ნატოსა და ევროკავშირს. ვინ მოიგო ამ პროცესით?!

***– ვინ მოიგო?***

– იმან, ვინც არის საქართველოს სახელმწიფოსა და ჩვენი სამშობლოს მტერი. მოიგო რუსეთმა. თუ არადა, ნახეთ, როგორი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო ფრონტზე და სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან, საკმაოდ მაღალი ტრიბუნებიდან ამ კონკრეტულ ფაქტს.

***– საპროტესტო აქციების გაგრძელებას აანონსებთ?***

– აქციები გაგრძელდება. აქციები არის უწყვეტი! იგეგმება პარლამენტის, შს სამინისტროს, „ქართული ოცნების“ ოფისისა და სხვა სახელმწიფო უწყებების პიკეტირება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, შევუქმნათ დისკომფორტი „ქართული ოცნების“ პირველ პირებს იმისათვის, რომ მოუსმინონ ხალხს და წამოვიდნენ იმაზე, რასაც ითხოვენ საქართველოს მოქალაქეები. ეს არის ახალი არჩევნები, ეს არის ნიკა მელიას გათავისუფლება და პოლიტიკური და სისხლის სამართლის საქმეების, ოპოზიციის ლიდერების დევნის შეწყვეტა.

***– რამდენად გამოვა ეს ყველაფერი, როდესაც ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ხელახალი არჩევნების საკითხი არ განიხილება, რომ ეს დახურული თემაა?***

– აუცილებლად გამოვა, მიუხედავად იმისა, რა უნდა ან რას ამბობს ღარიბაშვილი. ღარიბაშვილი არის კორუმპირებული ადამიანი, რომელიც ასრულებს ბიძინა ივანიშვილის დავალებას. თურმე ივანიშვილი წავიდა პოლიტიკიდან, ღარიბაშვილის გაპრემიერებით კი დავინახეთ, რომ ის არსადაც არ წასულა. ის განსხეულდა ღარიბაშვილში, „ქართული ოცნების“ სხვადასხვა წარმომადგენელში. სამწუხაროდ, მოვლენები განვითარდა ისე, რომ ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ხელისუფლება, ღარიბაშვილი, ივანიშვილი და გავრილოვი, ხოლო მეორე მხარეს — ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო და ამ ქვეყნის მოქალაქეები. შეუძლებელია, ეს ბრძოლა მოიგონ გავრილოვმა, ღარიბაშვილმა და ივანიშვილმა. დარწმუნებული ვარ, ამ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობს თავისუფლებისა და ჩვენი ქვეყნისათვის, მოიგებს საქართველოს მოსახლეობა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# თამაზ აქუბარდია: „ენერგეტიკა ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული დარგია“

## „უცხოელებზე მიწის ასეთი მასშტაბებით მიყიდვა წარმოუდგენელი მავნებლობაა!“

ოფილი დეპუტატი თამაზ აქუბარდია ჰესების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება:



„ცხადია და საკამათო არ არის, რომ ელექტროსადგურები უნდა აშენდეს, მაგრამ:

ა) ყველასათვის ცნობილია, რომ ენერგეტიკა ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული დარგია და, ამდენად, თუ პროექტის რეალური ღირებულება, ვთქვათ, 400 მილიონი დოლარია, როგორც წესი, სულ ცოტა, 1,5-ჯერ გაზრდიან პროექტის ფასს და, როგორც დიდებულ რომან „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ გვაქვს, დანარჩენს „გააიმასქნავენ“. გარწმუნებთ, ზუსტად ასე გააკეთებენ, ამიტომ პროექტის განხილვაში ისინი კი არ უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ, ვინც წილში ჯდება, არამედ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მათ გამოააშკარავებენ;

ბ) არავითარი სახელმწიფო გარანტია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ელექტროენერგიის მოცემულ ფასად გაყიდვას;

გ) უცხოელებზე მიწის მიყიდვა ასეთი მასშტაბებით, როგორც ამას ამბობენ ერთ-ერთ ბოლო ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, წარმოუდგენელი მავნებლობაა! ცხადია, თუ ეს მართალია, ასეთი ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს!

დ) რაღაც რაოდენობის აქციები უნდა გაიყიდოს, რათა ქვეყნის რიგით მოქალაქეებს გაუჩნდეთ საკუთრების გრძნობა!

ეს ყველაფერი რომ განხორციელდეს, რამდენიმე კორუმპირებული მაღალჩინოსნის წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

პ.ს. ახლა რომ ვიცი, დეპუტატობის დროს რომ მცოდნოდა, ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებდი ქვეყნისთვის!

# ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია 1 მარტს დაიწყება

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის, საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის, უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდისთვის, აგრეთვე მასწავლებელთა საგნის გამოცდისა და საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებლად რეგისტრაცია პირველი მარტის 10:00 საათიდან დაიწყება და 31 მარტის 18:00 საათამდე გაგრძელდება.

რეგისტრაცია მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონულად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე online.naec.ge. გამოცდებში მონაწილეობის მსურველმა უნდა აირჩიოს შესაბამისი გრაფა და მიჰყვეს ინსტრუქციას.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოაქვეყნა 2021 წლის ელექტრონული კრებული „ცნობარი აბიტურიენტებისათვის“. ცნობარში მოცემულია ცხრილი, რომელშიც ასახულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები, თითოეული გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტები, დადგენილი კომპეტენციის ზღვრები, სწავლის საფასური და სხვა დეტალები.

**ცნობარში ასევე მითითებულია გამოცდებთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:** სიახლეები, რეგისტრაციის ინსტრუქცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის, საგამოცდო პროცესის, შედეგების გამოქვეყნების, აპელაციის პროცედურის, ჩარიცხვისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წესის შესახებ.



**აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი წელსაც რამდენიმე ეტაპად ჩატარდება:** რეგისტრაციის პირველ ეტაპზე აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს სარეგისტრაციო გრაფაში პირადი მონაცემები, აირჩიოს საგამოცდო ქალაქი და ჩასაბარებელი საგნები. საგნის შეცვლა ან დამატება, ასევე გამოცდის ენის შეცვლა აბიტურიენტებს 15 აპრილის 18:00 საათამდე შეუძლიათ, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა კი მათ აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით ექნებათ.

# სოსო შატბერაშვილი: „გახარიას ისეთ რეკლამას უკეთებენ, სავარაუდოდ, პარტიას ქმნის“

## „ძალადობას გმობს ყოფილი მერი უგულავა, რომელმაც 2005 წელს საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციას დამსჯელი რაზმები მოგვისია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**



***– საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მოძრაობა საქართველოსთვის“, რომელიც 26 თებერვალს საპროტესტო მსვლელობაში მონაწილეობდა, ხელისუფლებას ორკვირიან ულტიმატუმს უყენებს. მოთხოვნები შემდეგია: რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ცესკოს ახლებურად დაკომპლექტება. საარჩევნო რეფორმაზე ხელისუფლება ისედაც თანახმაა. სხვა მოთხოვნებზე რას იტყვით?***

– დავიწყოთ ნიკა მელიას გათავისუფლების მოთხოვნით. ეს მოთხოვნა ფარსად გადაიქცა იმიტომ, რომ ნიკა მელიას თავიდანვე შეეძლო გირაოს გადახდა და პატიმრობის თავიდან აცილება. ხელისუფლება მას ამას ახლაც სთავაზობს. თუ გადაიხდის 40.000-იან გირაოს, გათავისუფლდება. დავუშვათ, არ აქვს ფული. თუ არა აქვს, ადვილად შეუგროვებენ. ივერი მელაშვილს, რომელიც ხალხის თვალში ქვეყნის მოღალატეა, სასწრაფოდ შეუგროვეს გირაოს თანხა. ჯერ გასული არ იყო ინგა გრიგოლიას სტუდიიდან, რომ ფული უკვე გამზადებული ჰქონდათ. გიორგი რურუას გათავისუფლებასაც მოითხოვენ. ამ საკითხს პოლიტიკურად შევეხები. სამართლებრივად თუ რურუას ამნისტიით ან სხვა გზით გამოუშვებენ, სხვა საკითხია. გიორგი რურუა პოლიტპატიმარი არ არის. ის არ ყოფილა პოლიტიკოსი. პოლიტიკაში ჩართული იყო მისი ძმა, ნიკა რურუა.

***– ნიკა მელია ამბობს, თავისუფლება ფულზე არ იცვლებაო.***

– ნიკა მელიას ძალიან სურს პოლიტპატიმრობა. მან ამას მიაღწია და მალე გამოსვლა არ უნდა. მის გათავისუფლებაზე რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოება ალაპარაკდა, ეს გასაკვირი არ არის. ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერის დაკავება სკანდალია ყველა ქვეყანაში. ჩვენ უცხოეთში ლობისტები არ გვყავს, მაგრამ, მეც რომ დამაკავონ, გარედან მეც გამომესარჩლებიან.

***– რიგგარეშე არჩევნებზე რას იტყვით?***

– ხელისუფლება თანახმაა, დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, თუ აღმოჩნდება, რომ ეს არჩევნები 1%-ით მაინც გაყალბდა. ეს უნდა დაამტკიცოს დროებითმა საგამოძიებო კომისიამ.

***– რომელშიც ოპოზიცია არ მონაწილეობს.***

– სწორედ იმას ვამბობდი, რომ ოპოზიცია უნდა შევიდეს დროებით მაინც პარლამენტში და მიიღოს მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში, თორემ, ახლა გამოდის, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. მე თუ მკითხავთ, ტოტალურად და მასობრივად არ გაყალბებულა. ჩვენთან ყოველთვის ასეთი არჩევნები ტარდებოდა.

***– დასავლეთიც ამას ამბობს.***

– გაყალბების მაჩვენებელი, ალბათ, 1%-ზე მაღალია. ოპოზიციამ უნდა დაამტკიცოს არჩევნების გაყალბება. რიგგარეშე არჩევნები უნდა გაიმართოს ადგილობრივ არჩევნებთან ერთად. ეს მიმაჩნია ჩიხიდან გამოსავლად. არჩევნები მინიმუმ 40.000 ლარი ჯდება. ერთად თუ გავმართავთ არჩევნებს, ეს დაზოგავს ბიუჯეტის ფულს. არჩევნები თუ არა, პლებისციტი მაინც ჩავატაროთ თემაზე, ენდობა თუ არა ხალხი 2020 წლის არჩევნების შედეგს. პარტიები ტყუილად ამბობენ, რომ გადასწორებულ შედეგს არაფერი ეშველება. მათ აქვთ ოქმები და შეუძლიათ, ამ ოქმებით იმუშაონ. რიგგარეშე არჩევნებზე, გამონაკლისის გარდა, ისევ არ საუბრობენ დასავლელი პარტნიორები. მათი მოთხოვნა მელიას ეხება. დასავლეთი თავიდანვე ურჩევდა ოპოზიციას, შესულიყო პარლამენტში.

***– შექმნილ სიტუაციაში საზოგადოებაში პოლარიზაცია გაიზარდა?***

– პოლარიზაცია ისედაც მაღალი იყო. ვგმობ თავდასხმას ჟურნალისტ ვახო სანაიაზე. ძალადობა დაუშვებელია ნებისმიერ მოქალაქეზე, მათ შორის, ჟურნალისტებზე. ძალიან მაკვირვებს ის, რომ ძალადობას გმობენ მოძალადეები.

***– ვისზე საუბრობთ?***

– გიგი უგულავაზე. მოთქვამს, ვახო სანაიას რა გაუკეთესო. ძალადობაზე ჩივის ყოფილი მერი, რომელიც ზონდერებს გვისევდა. ძალადობას გმობს ყოფილი მერი უგულავა, რომელმაც 2005 წლის 2 დეკემბერს საკრებულოს სხდომაზე დამსჯელი რაზმები უდესიანის მეთაურობით მოგვისია საკრებულოს მაშინდელ ოპოზიციას. ეს მოხდა იმ მომენტში, როცა მერს თანხების დატაცებაში ვამხელდი. იმ სხდომაზე ქალაქის მთავრობას ვამტკიცებდით. წინასწარ გამოვაცხადე, რომ უგულავა უნდა მემხილებინა. რაზეც გავაკრიტიკე, შემდეგ დაიჭირეს. ასეთია ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ ორმაგი სტანდარტი!

***– ოპოზიცია სახელმწიფო ორგანოების პიკეტირებას აანონსებს. ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ეს მშვიდობიანი პიკეტირება იქნება.***

– პიკეტირების მნიშვნელობაც არ იციან. პოლიტიკოსებში ბევრია უწიგნური. მშვიდობიანი პიკეტირება არ არსებობს, ისევე, როგორც მშვიდობიანი რევოლუცია. ხავერდოვან რევოლუციას სხვა რამეს ეძახიან. პიკეტი ნიშნავს იმას, რომ ხელს უშლი სახელმწიფო ორგანოს მუშაობას, მისი წარმომადგენლების მიმოსვლას. ეტყობა, პიკეტირება სირცხვილის დერეფანში აერიათ. არა მგონია, ოპოზიციამ რამეს მიაღწიოს, თუნდაც, მიტინგებით. ამ ოპოზიციას ხალხი ვერ გამოჰყავს. 26 თებერვალს ვერაზე და შემდეგ რუსთაველზე ვიყავი, როცა ხალხის ნაწილი ფილარმონიასთან შეიკრიბა და შემდეგ დაიძრა პარლამენტისკენ. ეს იყო 3000-მდე ადამიანი. მეორე ჯგუფი, ასე, 1000 კაცამდე, რუსთაველის ძეგლთან შეიკრიბა. ეს ორი ნაკადი ერთმანეთს შეუერთდა. მათი სრული რაოდენობა დაახლოებით 4000 იყო. ხალხი ატყობს ამ ოპოზიციას, რომ მას არჩევნები კი არა, ისევ სახელმწიფო გადატრიალება უნდა და არ მიჰყვება.

***– მიმდინარეობს გიორგი გახარიას პერსონის ინტენსიური გაპიარება. ფეისბუქში მისი არშექმნილი პარტიის მხარდამჭერთა ჯგუფიც კი გაჩნდა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– გეთანხმებით, რომ გახარიას რეკლამა უკეთდება. არ მახსოვს, საქართველოს რომელიმე პრემიერი ან მთავრობის თავმჯდომარე ასეთი ხმაურითა და რეკლამირებით წასულიყოს თანამდებობიდან. როგორც ვატყობ, გიორგი გახარია პარტიას ქმნის.

***– აშკარაა, რომ მას სხვები ეხმარებიან.***

– პირადად მე მახსენდება ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი. მან ივარაუდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ჯანსაღი პოლიტიკური ძალა ჩაანაცვლებს. არ არის გამორიცხული, გახარიას პარტია 2024 წელს მოვიდეს ხელისუფლებაში, „ქართული ოცნება“ კი ოპოზიცია გახდეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ გახარიას პოლიტიკური ძალის შექმნაში ბიძინა ივანიშვილი დაეხმაროს.

# „პროკურატურამ თუ არ იცის, ვასწავლი, როგორ გამოუშვას მელია“

## ლევან ალაფიშვილი: „ვაქცინის თემა ხელისუფლებას ზვავივით წაიყოლებს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ნიკა მელიას საქმეზე პროკურატურა მზად არის, თავისი პოზიცია შეცვალოს. თქვენ რით ხსნით პროკურატურის პოზიციის ცვლილებას?***

– პროკურატურა იტყუება. სამართლის მეორე კურსის სტუდენტიც კი გაიცინებს ამაზე. „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ჩანს, პროკურატურას უთხრა – რამე გვიშველე! აღკვეთის ღონისძიება გირაო თუ მისაღები იყო, მაშინ ამ გზით არ უნდა წასულიყვნენ. დღეს გვაქვს მოცემულობა, როდესაც პირი გისოსებს მიღმაა.

ხელისუფლების მხრიდან ეს შეთავაზება სახის შენარჩუნებას, შეფუთვას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ სურვილს, რომ ნიკა მელია გარეთ იყოს. მათ უნდათ, ქვეყნის გარეთ პარტნიორებისთვის სათქმელი ჰქონდეთ – ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკური ლიდერი გარეთ იყოს, მაგრამ მას არ უნდა!

***– სამართლებრივი ბერკეტი, გარდა პრეზიდენტის შეწყალებისა, რა არსებობს?***

– თუ პოლიტიკური ნება იქნება, რასაკვირველია, არსებობს, შემიძლია, ვასწავლო კიდეც: თავად პროკურატურას შეუძლია სასამართლოს შუამდგომლობით მიმართოს აღკვეთის ღონისძიების საერთოდ გაუქმებით.

***– მელიამ თქვა, განცდა მაქვს, დიდხანს აქ არ დავრჩებიო. გამოუშვებენ?***

– რომ უნდა გამოუშვან, ამაში თვითონაც დარწმუნებული არიან, მაგრამ ახლა „ქართული ოცნება“ იმ მდგომარეობაშია, როდესაც ყველაზე მეტად სახის შენარჩუნება სჭირდება, ე.წ. ღირსეული გამოსავალი. სჭირდებათ არა იმიტომ, რომ ეს საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია და მოჰყვა ის, რაც მოჰყვა, არამედ ეს საქმე სამართლებრივად ბოლომდე ვერ მივა შინაარსობრივად.

***– რა პროცესი მიმდინარეობს, ერთი მხრივ, ხელისუფლებაში და, მეორე მხრივ, ოპოზიციაში?***

– ისედაც დამძიმებულ ეკონომიკურ-სოციალურ ყოფას, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობის კრიზისი დაემატა, პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ნამდვილად გვაქვს. არჩევნებმა გამოაჩინა სახელისუფლებო ძალის მისწრაფება, რომ ნებისმიერ ფასად შეუძლია, ძალაუფლება შეინარჩუნოს. დღეს სრულიად აშკარაა, „ქართული ოცნება“ ხმების გადათვლაზე რომ წასულიყო, ამ ტიპის კრიზისს არ მივიღებდით. ყველაფერი მაინც იქამდე მიდის, რომ „ქართულ ოცნებას“ არ უნდოდა ვინმესთვის ძალაუფლების გაყოფა. საქმემ სრულიად სხვა ზრახვები გამოაჩინა.

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს თვითონ პარტიების შიგნით მიმდინარე პროცესები. არ ვგულისხმობ მხოლოდ ოპოზიციურ პარტიებს. თავად მმართველ პარტიაში მიმდინარე პროცესებსაც ვგულისხმობ.

***– „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მათ პოლიტიკური კრიზისი ერთი დღეც კი არ ჰქონიათ. გადადგა გახარია, მაგრამ სკამი გრძელია.***



– მმართველი პოლიტიკური ძალა ოქტომბრის აქეთ მხოლოდ და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მათ არათუ მოკლე სკამი, სკამი საერთოდ არ აქვთ. „მოქალაქეთა კავშირი“ გახსოვთ, მძლავრი „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც არათუ დღეს, რევოლუციის მეორე დღესაც კი არავის ახსოვდა, სად იყო. სხვათა შორის, ეს გარდამავალი დემოკრატიის კიდევ ერთი პრობლემაა. ერთ დროს სახელისუფლებო პარტია საერთოდ გაქრა. ეს არის კიდევ ერთი ნიშანი, რომ ჩვენთან პარტიები ძალაუფლების ირგვლივ არიან გაერთიანებული და არა იდეოლოგიის.

***– თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ „მოქალაქეთა კავშირის“ ეტაპს გადის?***

– რასაკვირველია. თავისი დაჯგუფებებით, თავისი ვიწრო ინტერესებით და ა.შ. ერთი ერთში ჰგავს.

***– გახარიას წასვლა ჩაძირული გემიდან გადახტომის მაგალითი იყო თუ, პირიქით, ახალი ენერგიით ემზადება დასაბრუნებლად?***

– გახარია არ იყო პარტიული პოლიტიკოსი. ის უფრო ბიუროკრატი გახლდათ, თუმცა, როგორც პარტიული პოლიტიკოსი, ყალიბდებოდა. ამის არაერთი მაგალითი თუ შემოლაწუნება ვნახეთ პარტიის მისამართით. დავითგარეჯზე გაკეთებული განცხადება, პოლიტსაბჭოს სხდომების დემონსტრაციული გაცდენები, წულუკიანისთვის ყურის აწევა მთავრობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით და ა.შ.

ვაქცინის თემა გახარიას კი არა, ყველას ზვავივით წაიყოლებს. გახარიამ ყველაზე კარგად იცოდა, საქართველო მიიღებდა თუ არა ვაქცინას. მან ძალიან ჭკვიანურად შეატოვა ეს ყველაფერი „ქართულ ოცნებას“, მეტიც, დაუმატა კიდეც. ქვეყნის პრემიერმა საჯაროდ დაადასტურა, რომ ქვეყანაში არც პროკურატურა არსებობს და არც სასამართლო. ყველამ ვიცით შინ თუ გარეთ, რომ ნიკა მელიას საქმეზე პარტია თათბირობდა.

***– ოპოზიცია რა პროცესს გადის?***

– აშკარაა ერთგვარი გადალაგება-გადაწყობის პროცესი. ეს ლოგიკურიც არის. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 30-წლიანი ისტორია უკვე მოითხოვს ერთგვარ გადატვირთვას, პოლიტიკის ახლებურად გააზრებას, თუნდაც თავისუფლების გააზრებას, რომელიც, პირველ რიგში, პასუხისმგებლობაა. ასევე სახეზეა პოლიტიკურ თაობათა ცვლა, რომელიც გარდაუვალია, თუმცა, სამწუხაროდ, ისინი პოლიტიკურ ამინდს ჯერ ვერ ქმნიან. ძველი თაობის პოლიტიკოსების აპრობირებული პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები ელექტორატისთვის უკვე მიუღებელი ხდება.

# „ივანიშვილი არ წასულა, ღარიბაშვილში განსხეულდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– გიორგი, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა სიუჟეტს, რომელიც ერთ-ერთ არხზე გავიდა, სადაც ნიკა მელიას დაკავებისას „ოცნების“ წევრები ქეიფობდნენ, თანაც კომენდანტის საათის დროს. ყველას არ ეხება კომენდანტის საათი? ესეც შერჩევითია?***

– რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება. არა მარტო ეგ ქეიფი, ასევე ანზორ ბოლქვაძე, „ქართული ოცნების“ დეპუტატი, ყველამ ვნახეთ ვიდეო, სადაც კომენდანტის საათის დროს ქეიფობს რესტორანში და ლაივს რთავს სოციალურ ქსელში. ამით „ქართული ოცნება“ დასცინის საკუთარ ხალხს. ამით „ქართული ოცნება“ ამბობს, მე ვარ კანონი, მე ვარ კონსტიტუცია და, რასაც მიგითითებთ, ისე მოიქეცით. მე ვიქეიფებ და თქვენ ისხედით სახლში. შენ მოგპარავ ფულს, იმ ფულით ვიქეიფებ რესტორანში და არც ჩემ მიერ დაწესებულ კომენდანტის საათს დავემორჩილებიო.

***– ანუ მათთვის რესტორნებიც ღიაა?***

– რა თქმა უნდა. თუ მათ მოუნდებათ, მათთვის რესტორნებიც ღიაა. თუ მათ მოუნდებათ, საერთოდ არ არის მათთვის შეზღუდვა 9 საათის შემდეგ. რა შეზღუდვაზეა საუბარი, როდესაც ბიუჯეტიდან იპარავენ ფულს და ამის გამო პასუხს არ სთხოვენ ერთმანეთს. თქვენ იცით, რომ რამდენიმე ასეული მილიონი წაიღო ღარიბაშვილის კლანმა, მაგრამ ამის გამო პასუხი არავინ მოსთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული, არც ღარიბაშვილს უგია პასუხი და არც მის გარემოცვას.

***– ამ სკანდალებით წავიდა ღარიბაშვილი პირველ ჯერზე...***

– რა თქმა უნდა. ეს იმდენად დიდი კორუფციული სკანდალი იყო, რომ ამას აღიარებდა თავად ღარიბაშვილი. მერე უკვე, როდესაც თავდაცვის მინისტრი გახდა, თქვა, რომ თურმე მას თავის ნათესავებთან შეხებაც აღარ აქვს. ჩემმა ნათესავებმა რომ ფული მოიპარეს, მე არაფერ შუაში ვიყავიო. უკაცრავად, შეხება შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ის ფული დაბრუნდა ბიუჯეტში?! ამის გამო აგო პასუხი ვინმემ? ამ გაღარიბებულ ქვეყანაში ბიუჯეტიდან ასეულობით მილიონს რომ იპარავენ, ამის გამო პასუხს არ სთხოვენ არავის, იმიტომ რომ თურმე ისინი ღარიბაშვილის ნათესავები არიან. ეს სამართლიანობაა?! დღეს ხელისუფლება არის იმ კონდიციაზე, როდესაც დაბრმავდა, როდესაც დაყრუვდა, მოწყვეტილია რეალობას, ვერ ხედავს გაჭირვებას, ვერ ხედავს ადამიანების გაღარიბებას და გადართულია იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ფული მოიპაროს ბიუჯეტიდან.

***– გიორგი, ოპოზიციაშიც არ არის ყველაფერი რიგზე. თაკო ჩარკვიანი აცხადებს, რომ ოპოზიციაში ახალი სახეებია საჭირო, ამას საზოგადოება ითხოვს, სხვანაირად ხალხი ქუჩაში არ გამოვაო. აქვს ოპოზიციას დღეს ამის რესურსი?***

– ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ოპოზიციის ერთიანობაა. ოპოზიციის ერთიანობა გულისხმობს როგორც ახალ სახეებს, ისე გამოცდილი პოლიტიკოსების ერთიანობას.

***– მსგავსი განცხადებები ამ ერთობას არ აზიანებს?***

– პირადად მე თავს შევიკავებდი მსგავსი განცხადებების გაკეთებისგან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ადამიანებს უნდა ავუკრძალოთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. ყველას აქვს უფლება, გამოთქვას მოსაზრება, მაგრამ, ვფიქრობ, დღეს უპირველესი ამოცანა ოპოზიციის ერთიანობაა. ზუსტად ოპოზიციის ერთიანობა უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ შევცვალოთ „ქართული ოცნება“! ჩვენ ყველას განსხვავებული ხედვა გვაქვს, მაგრამ დღეს ერთად ვდგავართ, რადგან ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას ასე სჭირდება.

# ზუგდიდში პოლიციამ ოქროს ბირჟაზე თავდამსხმელი მოკლა

26 თებერვალს ზუგდიდში ოქროს ბირჟა დააყაჩაღეს.

ინციდენტის შესახებ შსს-მ ასეთი განცხადება გააკეთა:

„ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე, 26 თებერვალს, დღის პირველ ნახევარში, ყაჩაღობის ფაქტი მოხდა.

ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი ოქროს ბირჟაზე შეიჭრა და ერთ-ერთ გამყიდველს ოქროს ნივთები იარაღის მუქარით გასტაცა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და 236-ე მე-3 და მე-4 ნაწილებით დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მომხდარი ყაჩაღობის ფაქტიდან ცხელ კვალზე დაიწყეს ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებები.

რუსთაველის ქუჩიდან მოშორებით დანაშაულის სავარაუდო ჩამდენმა პირმა მას შემდეგ, რაც სამართალდამცველები შენიშნა, მათი მიმართულებით იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რასაც პოლიციის მხრიდან „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უკიდურესი ღონისძიების სახით საპასუხო სროლა მოჰყვა, ვინაიდან არსებობდა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

შემთხვევის ადგილზე თავდამსხმელი – 1996 წელს დაბადებული პირი პოლიციის მიერ უგონო მდგომარეობაში იქნა ნანახი, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზები“, – ნათქვამია განცხადებაში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა 2021 წლის 26 თებერვალს ქ. ზუგდიდში დევნის ოპერაციის მიმდინარეობისას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ იარაღის გამოყენებით განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

უწყების ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლების მიერ ამ ეტაპზე ტარდება პირველადი საგამოძიებო მოქმედებები – ექსპერტების მონაწილეობით მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვება. ასევე, ხდება მოწმეთა იდენტიფიცირება მათი გამოკითხვისა და მათთან სხვა საჭირო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების მიზნით. დღესვე, დაინიშნება სამედიცინო ექსპერტიზა.



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ქუთაისის ციხეში პატიმარმა ზაზა ჩაფიძემ მუცელი და ხელები გადაისერა



ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 35 წლის პატიმარმა თვითდაზიანებები მიიყენა.

ზაზა ჩაფიძეს დაზიანება მუცლის არესა და ხელებზე აღენიშნება.

პატიმრის მეუღლის, ადვოკატ ნინო მეფარიშვილის ინფორმაციით, პატიმარმა დაზიანება პროტესტის ნიშნად მიიყენა, რადგან მას ქვემო კიდურების ღრმა ვენების თრომბოზი აქვს და საავადმყოფოში არ გადაჰყავთ.

ამ დროისთვის ბრალდებულის მდგომარეობა რთულია, ადვოკატის ინფორმაციით, მას ჭრილობებზე სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს, რადგან ციხეში მედიკამენტები არ აქვთ.

ოჯახი ვარაუდობს, რომ პატიმარი საავადმყოფოში პროკურატურის დაკვეთით არ გადაჰყავთ, რადგან სურთ, პატიმარს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა შეექმნას.

პატიმრის მეუღლე დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართავს.

ზაზა ჩაფიძე სასჯელს 2020 წელს ტყიბულში მომხდარი მკვლელობის ბრალდებით იხდის.

ადვოკატის თქმით, პატიმარი უდანაშაულოა და მას სხვის მიერ ჩადენილი დანაშაული ჰბრალდება.

## ვახო სანაიაზე თავდასხმის გამო დაკავებულ სამივე პირს პატიმრობა შეეფარდა



ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმის ფაქტზე დაკავებულ სამივე პირს – სულიკო საყევარაშვილს, გიორგი სახელაშვილსა და ვაჟა გიგაურს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი დაკავებულების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

სამართალდამცავებმა ვახო სანაიას მიმართ, მისი პროფესიული საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუქარის ფაქტზე 3 პირი დააკავეს.

მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## „ზეწრები დახეული ეყარა. ბევრი ნაფეხური იყო“

### ახალციხეში 70 წლის ქალის ცხედარი იპოვეს

ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე, 27 თებერვალს საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი ქალი იპოვეს.

70 წლამდე ქალი გარდაცვლილი მისმა ახლობელმა ნახა.

ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს. ექსპერტმა სიკვდილის მიზეზი უნდა დაადგინოს.

მეზობლები არ გამორიცხავენ, რომ პირველადი ვერსია, გაზით გაგუდვა, განზრახ მკვლელობამ შეცვალოს.

– ორი დღეა, არ მინახავს. ნათესავი მოვიდა დღეს, კარი ღია დახვდა, შევიდა სახლში და ყველაფერი არეულ-დარეული იყო. შეეშინდა და ყვირილი დაიწყო, მაშინვე პოლიციას გამოუძახეს. სოციალურ დახმარებას იღებდა, რა უნდოდათ ამ ქალთან, არ ვიცი, – ყვება გარდაცვლილის მეზობელი მარგალიტა მალცოვა.

კიდევ ერთი მეზობელი, რომელიც სახლში ერთ-ერთი პირველი შევიდა, ამბობს, რომ სახლში გაზის სუნი იდგა. ის არ გამორიცხავს,



რომ ასაკიანი ქალი მოკლულია.

– მთელი სახლი თავდაყირა იყო, ზეწრები დახეული ეყარა. ბევრი ნაფეხური იყო, ჭუჭყიანი ფეხსაცმლის კვალი. შეიძლება ვინმე შევიდა, შემოაკვდათ და კვალის დაფარვის მიზნით გაზი გაუშვეს, რომ გაგუდული გვგონებოდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

## აჭარაში ზღვაში დაკარგულ გიორგი ტუღუშს ეძებენ

აჭარაში ზღვაში ახალგაზრდა მამაკაცს ეძებენ. 39 წლის გიორგი ტუღუში წყალში 17 თებერვალს, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში შევიდა და გაუჩინარდა.

ახალგაზრდა მამაკაცს უკვე 10 დღეზე მეტია ვერ პოულობენ.

ზღვაში დაკარგული მამაკაცის ახლობლები ამბობენ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს არ გააჩნია სპეციალური აღჭურვილობა და სპეცტექნიკა იმისთვის, რომ ძირეულად განახორციელონ სამძებრო სამუშაოები. აქედან გამომდინარე, ოჯახის წევრები სამძებრო პროცესში თავდაცვის სამინისტროს ჩართვას მოითხოვენ. მათი თქმით, წყალქვეშა ძიებისთვის აუცილებელი ტექნიკა, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ შეიარაღებულ ძალებს გააჩნიათ.

– 17 თებერვალს ნასვამ მდგომარეობაში შევიდა ზღვაში და დაიხრჩო. დღეს ამინდი არ გვაქვს, რომ მყვინთავები ჩასულიყვნენ და ფიზიკურად ვერ შეძლებენ მოძებნას, 2 მყვინთავი გვყავს, ზაფხულის ფორმებით სიღრმეში ვერ ჩადიანო. დაახლოებით, 25 მეტრამდეა სიღრმე, 15-16 მეტრზე მეტს სიღრმეში ვერ ჩადიან. ვთხოვ დახმარებას თავდაცვას, რადგან თავდაცვას აქვს აღჭურვილობა და ჰყავთ მყვინთავები. დაგვეხმარონ, რომ მიცვალებული ამოვიყვანოთ ზღვიდან და დავკრძალოთ, – განაცხადა დაკარგული მამაკაცის ნათესავმა მათე ქარცივაძემ.

## „ნაციონალებს შეუძლიათ, ტექნიკა უკან წაიღონ“

### შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

2021 წლის 23 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამართალდამცველებისთვის ჯგუფურად წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისიდან სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობები ამოიღეს და დალუქეს, რადგან არსებობდა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი ინფორმაციის განადგურების ან/და სამომავლოდ მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხე.



ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები სასამართლომ კანონიერად ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს აცნობეს, რომ გამოცხადებულიყვნენ სამინისტროში და დაუბრუნდებოდათ პარტიის ოფისიდან ამოღებული ტექნიკური მოწყობილობები, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

ამის შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარტიას ოფიციალური წერილი გაუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ გამოყონ კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოფისიდან ამოღებული ტექნიკური საშუალებები გადაეცემა.

## გორში მტკვარში ასაკოვანი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გორში მდინარე მტკვარში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა სამძებრო სამუშაოები ცოტა ხნის დაასრულეს.

გარდაცვლილია ასაკოვანი მამაკაცი. შს სამინისტროს ცნობით, გამოძიება დაწყებულია.

## 83 წლის ქალი თავის ნაკვეთში დაიწვა

უბედური შემთხვევა მოხდა 27 თებერვალს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში, სადაც 83 წლის მოხუცი დაიწვა.

როგორც სოფელში ყვებიან, მოხუცი მინდორში ბალახისთვის მოკიდებულ ცეცხლში დაიწვა.

– 83 წლის ქალი დაიწვა თავის მიწის ნაკვეთში, გამხმარი ბალახისთვის ცეცხლი მოუკიდებია, როგორც ჩანს, ცეცხლი გაძლიერდა და თავადაც მოეკიდა ტანსაცმელზე, წელს ქვემოთ მთლიანად დაიწვა. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, – გვიყვება სოფელ საიმერლოს მკვიდრი.




შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სახანძრო.

## გლდანში ირაკლი ბარნაბიშვილი დაჭრეს



27 თებერვალს გლდანის რაიონში სროლის ხმა ისმოდა. არსებული ინფორმაციით, მე-4 მიკრორაიონში რამდენიმე ადამიანს შორის დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც დაჭრილია 1 ადამიანი.

როგორც ტელეკომპანია „პირველთან“ ერთ-ერთი ადგილობრივი ყვება, თავდამსხმელები წინასწარ გათვლილი გეგმით მოქმედებდნენ. ისინი დაელოდნენ, როდის წავიდოდნენ ირაკლი ბარნაბიშვილის სახლიდან სტუმრები. ამის შემდეგ მის საცხოვრებელ სახლში ავიდნენ. კარზე ზარი დარეკეს და კარის გაღებისთანავე მას ოთხი ჭრილობა მიაყენეს.

მომხდარზე ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით (იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება) და 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) დაიწყო.

## ყვარელთან მანქანა ბეტონის კონსტრუქციას შეასკდა




### მძღოლი ადგილზე დაიღუპა

26 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბეტონის კონსტრუქციას დაეჯახა.

თვითმხილველების თქმით, შეჯახების დროს მიყენებული მრავლობითი დაზიანებების შედეგად მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.

წინასწარი ინფორმაციით, ავარიის მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე გახდა.

საერთაშორისო

## ნავალნის კოლონიაში მზარეულის პროფესიას შეასწავლიან



დაპატიმრებული რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი, მოსკოვის საზოგადოებრივი სადამკვირვებლო კომისიის მონაცემებით, ვლადიმირსკის ოლქში გადაიყვანეს.

კოლონიაში, შესაძლოა, მას მზარეულის, მცხობელის, ხარატის ან მკერავის პროფესია შეასწავლონ. ამის შესახებ რუსული მედია რუსეთის სასჯელაღსრულების ფედერალურ სამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

აღნიშნული სადამკვირვებლო კომისიის მდივნის ალექსეი მელნიკოვის განცხადებით, ნავალნი გამოსასწორებელ კოლონიაში მიიყვანეს, სადაც კარანტინის გავლის შემდეგ რაზმში გადანაწილდება.

სასჯელაღსრულების სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ კალაშნიკოვმა მანამდე ჟურნალისტებს აცნობა, რომ ნავალნის, სურვილის შემთხვევაში, საწარმოო საქმიანობით შეუძლია დაკავდეს.

## ბაიდენი: „აშშ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს!“

ყირიმის ანექსიიდან 7 წელი შესრულდა. აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა.

– აშშ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს! – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყირიმის ანექსია საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა და რუსეთიც ამის გამო პასუხს აგებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

## ღარიბი მეთევზეები მკვდარი ვეშაპის პოვნამ მილიონერებად აქცია



ღარიბმა იემენელმა მეთევზეებმა მკვდარი ვეშაპის მუცელში ათეულობით კილოგრამი ამბრი აღმოაჩინეს და მილიონერებად იქცნენ.

მეთევზეებმა მკვდარი ზღვის ცხოველის გვამი ნაპირიდან 30 კილომეტრში შენიშნეს.

– ის ძალიან დიდი იყო, – ყვება ერთ-ერთი მეთევზე, – ჩვენი ძალებით მისი ნაპირზე გამოტანა ვერ შევძელით და დასახმარებლად ოლქის ყველა მეთევზეს მოვუხმეთ.

მათ მოწოდებას 37 ადამიანი გამოეხმაურა. ერთიანი ძალისხმევით მათ მკვდარი ვეშაპი პლაჟზე ამოათრიეს და მუცელი გაუფატრეს. შიგნით 127 კილოგრამი ამბრი აღმოჩნდა.

მეთევზეების მტკიცებით, რამდენიმე შეთავაზება მიიღეს სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესმენებისგან, რომლებსაც ამბრის შეძენა სურთ. ერთ-ერთი მეწარმე მათ კილოგრამ ამბრიში 45 ათასი საუდური რიალის გადახდას შეჰპირდა, თუ მისი ხარისხი საკმარისად მაღალი აღმოჩნდება. სახლთან, სადაც მეთევზეები ამბრის ინახავენ, შეიარაღებული დაცვაა დაყენებული, მის გარშემო კი უამრავი ავტომობილია გაჩერებული და ხალხს აქვს თავი მოყრილი. ჩასულების ნაწილს ამბრის ყიდვის იმედი აქვს, დანარჩენებს კი მეთევზეების ისტორია აინტერესებთ, რომლებსაც მოულოდნელად ასეთი სიმდიდრე დაეცათ თავზე.

ამბრი წარმოადგენს ცვილოვან ნივთიერებას, რომელიც ვეშაპის ნაწლავებში გამოიყოფა. მას ხშირად „ვეშაპის ნარწყევს“ ან „მოტივტივე ოქროს“ უწოდებენ. ის უმეტესად კოსმეტოლოგიაში გამოიყენება და კილოგრამის ფასი საერთაშორისო ბაზარზე 40 ათას დოლარს აღწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# ქუთაისმა მოგება გაიხსენა, ვერა მწვრთნელებს იცვლის



**რუსთავი-კაკტუსი 94:86**
**(28:23, 29:22, 12:19, 25:22)**

სუპერლიგის ლიდერს კაკტუსი ეწვია, რომელმაც რუსთავულ გუნდს დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა მეტოქე ბოლო წუთებზე გატეხა და ლიდერობა შეინარჩუნა.

არადა, რუსთაველებმა თამაში შედეგიანად დაიწყეს და 19:8 დაწინაურდნენ. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა თამაში მალევე დაალაგეს და პირველ შესვენებამდე ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირეს. მასპინძლები ლიდერობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ კაკტუსი ახლოს მისდევდა და შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა.

მესამე პერიოდის დაწყებამდე ანგარიშში სხვაობა მასპინძლების სასარგებლოდ 12 ქულას შეადგენდა, მაგრამ კაკტუსელთა ბრძოლისუნარიანობამ შედეგი გამოიღო. ჟღენტის გუნდმა ჩამორჩენა ორჯერ შეამცირა მინიმუმამდე (63:64, 73:74). ერთია, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა.

შეხვედრის დასრულებამდე ოთხ-ნახევარი წუთით ადრე რუსთაველთა ლიდერობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა, რასაც მასპინძელთა გააქტიურება მოჰყვა და მაშინ, როცა დაძაბული ფინალი ივარაუდებოდა, ბრძოლა აღარ შედგა. რეზო ჩაჩანიძემ, მალიქ უაითმა, ჯილან ვაშინგტონმა და გეგი ბაქრაძემ მიჯრით 8 ქულა მიითვალეს და მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე რუსთავი 10 ქულით დაწინაურდა – 89:79. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. შეხვედრა მასპინძლებმა გამარჯვებამდე იოლად მიიყვანეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს – 94:86.

რუსთაველთა შორის ყველაზე სარგებლიანი მაიკ დევისი გახლდათ – 15 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა და 3 ჩაჭრა. ბომბარდირი კი, 25 ქულით უაითი გახდა. 15 ქულა და 8 მოხსნა გეგი ბაქრაძის ანგარიშზეა. ჯილან ვაშინგტონმა ორმაგი დუბლი გაიფორმა – 10 ქულა, 12 მოხსნა. კაკტუსელთაგან 16 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო იყო ლევან მასხულია, 19 ქულა დარიუს უილიამსმა მოაგროვა, ხოლო სანდრო სანაძემ 20 ქულით ბომბარდირობა ითავა.

**თსუ-ქუთაისი 68:83**
**(24:22, 14:18, 18:18, 12:25)**

სამეულში მყოფი გუნდების მატჩში გამარჯვება ქუთაისს დარჩა, რომელმაც საკვანძო მომენტებში უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ბოლო პერიოდში მეტოქე გატეხა და 83:68 მოიგო. კოტე ტუღუშის გუნდმა ზედიზედ 3 წაგების შემდეგ გამარჯვების გემო გაიხსენა.

ლექსო ლაფანაშვილმა დამწყები ხუთეული გადაახალისა. სასტარტოში თამაში სათადარიგო კალათბურთელებმა – ლორთქიფანიძემ, პულუზაშვილმა და რევაზაშვილმა დაიწყეს. მოედანზე იყო ძირითადი ხუთეულის 2 წევრი – ლობჟანიძე და ჭოჭუა. ჩანაფიქრმა გაამართლა, უნივერსიტეტელებმა პირველი მეოთხედი 24:22 მოიგეს. პულუზაშვილი 6 ქულით ერთ-ერთი საუკეთესო იყო – ქუთაისელთა ცენტრ აკაკი დვალიშვილს სამწამიანში რამდენიმეჯერ აჯობა.

პირველი პერიოდის მეორე ნახევრიდან, მოედანზე ძირითადი ხუთეულის მოთამაშეები ეტაპობრივად დაბრუნდნენ, მაგრამ წინ უკვე ქუთაისი გაიჭრა და ტაიმის მოგება მაინც მოახერხა – 40:38.

მესამე პერიოდი ქულა-ქულაში წარიმართა. თსუ-ელები ქუთაისს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. ამჯერადაც, გამორჩეული იყო მძიმე ფორვარდი ქუენტინ დავი, შედეგიანი ათწუთეული ჩაატარა ნაკრებიდან მობრუნებულმა საბა ლობჟანიძემაც. მეოთხედი ფრედ დასრულდა და დასკვნით 10-წუთეულს ქუთაისი მინიმალური ჰანდიკაპით შეხვდა – 58:56.

ბოლო პერიოდი ბრაის სმიტის ჩატენით დაიწყო და ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგ ქუთაისელებმა სხვაობის გაზრდა ეტაპობრივად დაიწყეს. შეხვედრის ბოლო წუთებმა კი, აზრი დაკარგა, რადგან რიონისპირელები დამაჯერებლად იგებდნენ და უნივერსიტეტელებს, მათი თამაშის მანერიდან გამომდინარე, თამაშის შემობრუნების შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

გამარჯვებულთაგან 20 ქულით საუკეთესო იყო კაჰიმ რენსომი. აკაკი დვალიშვილმა 14 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. ილია ლონდარიძის ანგარიშზე 17 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა. თსუ-ში 20 ქულით საუკეთესო იყო ქუენტინ დავი. საბა ლობჟანიძის ანგარიშზე 14 ქულა, 10 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა.

**ცხუმი-ოლიმპი 81:89**
**(25:25, 15:20, 20:24, 21:20)**

გუნდები ცხრილში 6-6 მოგებ-წაგებით იყვნენ და, შესაბამისად, მათ დაპირისპირებას ძალიან პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ორივე გუნდს გამარჯვება სოლიდურ ბიძგს აძლევდა. შეხვედრაც საკმაოდ დაძაბული გამოდგა. მატჩის დებიუტში მცირე უპირატესობას ცხუმელები დაეუფლნენ. ჯოშუა მაკფოლი საკმაოდ შედეგიანად ირჯებოდა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი ცხუმელებიც დაწინაურდნენ. შემდეგ ოლიმპმა სიჩქარე აკრიფა, თუმცა სანამ სწრაფ შეტევებზე გადავიდოდა, დაცვა გაამაგრა.

პირველი პერიოდი ფრედ – 25:25 დასრულდა, მეორედან კი ეროვნული ნაკრების ოლიმპელი წევრი, კახა ჯინჭარაძე ამოქმედდა, რომელსაც გვერდს ლეგიონერები – კენდრიკ ტომპსონი, დევანტე ფოსტერი და დონოვან სმიტი უმაგრებდნენ. მეორე ათწუთეული ოლიმპელებმა 20:15 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მესამე პერიოდში ოლიმპელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა, რასაც საიმედო დაცვის ფონზე ეფექტი ჰქონდა. შედეგად დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპმა პერიოდი 24:20 ქულით მოიგო და ბოლო ათწუთეულის წინ 9 ქულით დაწინაურდა.

დარჩენილ დროში ცხუმ-აფხაზეთი ბევრს ეცადა, მაგრამ მონდომება გამარჯვებით არ დაუფასდათ. ოლიმპმა მატჩის ბოლო პერიოდი სტაბილურად ჩაატარა და გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდა – 89:81.

ოლიმპში 27 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე. 19 ქულა კენდრიკ ტომპსონმა მოაგროვა, ხოლო 14 – დევანტე ფოსტერმა, დონოვან სმიტის ანგარიშზე კი, 13 ქულა დაგროვდა. ცხუმ-აფხაზეთში 27 ქულა ჰქონდა ჯოშუა მაკფოლს, 14 ქულა და 10 მოხსნა ალექსანდრე ფევაძემ მიითვალა.

**მგზავრები-ბათუმი 64:75**
**(21:20, 20:12, 10:21, 13:22)**

სუპერლიგის აუტსაიდერს ბათუმი ესტუმრა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ მგზავრებს მიმდინარე სეზონში ყველაზე ნაკლები – 3 მოგება აქვს და ყოველი მატჩი ამ გუნდისთვის ოქროდ ფასობს.

მგზავრებმა დიდი მონდომებით დაიწყეს თამაში და სადებიუტო ჩამორჩენის შემდეგ ჯერ თამაში გაათანაბრეს, პირველი პერიოდის ბოლოს წინაც გავიდნენ – 21:20. მეორე პერიოდში ბერიშვილის გუნდი ისე ათამაშდა, 17-ქულიან ლიდერობას დაეპატრონა. ჯეიდენ ფრედერიკის ორქულიანის შემდეგ მგზავრები 41:24 დაწინაურდნენ, რაც გამარჯვებაზე სოლიდური განაცხადი გახლდათ.

ზღვისპირელთა მწვრთნელმა გია კაზანჯიან-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

საზოგადოება

# ლაშა ბუღაძე: „მგონი, მართლაც ნებაყოფლობითი ტროლების ქვეყნად ვიქეცით“

აცხადებს მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე:

– ერთია, როცა ტროლად მუშაობ და სხვაა, როცა უნებლიეთ იქცევი ტროლად.

ცოტა ხნის წინ მოაზროვნე ადამიანი იყავი და მიზეზთა გამო ისე გიშეშდება აზროვნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დავალებით თუ დაუვალებლად, მექანიკური თოჯინასავით იწყებ ერთისა და იმავეს გამეორებას.



მგონი, მართლაც ნებაყოფლობითი ტროლების ქვეყნად ვიქეცით, რადგან განა ტროლად დეგრადირებულობა არაა, როცა რაც არ უნდა გითხრან, პასუხად მხოლოდ ესღა გაქვს: „აბა, მიშა გინდათ?“

– არ მინდა უსამართლო არჩევნებით შევსებული ერთპარტიული პარლამენტი.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა ოლიგარქის ჯიბის, კლანური სასამართლო.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ ციხეში პოლიტიკური პატიმრები ისხდნენ.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ ოპოზიციური პარტიის ოფისს სპეცრაზმელები არბევდნენ.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ საქართველო დასავლურ სივრცეს დასცილდეს და კრემლის სატელიტ-გუბერნიად იქცეს.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ საქართველოდან უიმედობისა და სიღარიბის გამო გარბოდეს ხალხი.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ პროპაგანდისტები ქვეყნისთვის სახიფათო სიყალბეს ავრცელებდნენ კრიტიკული აზრისთვის დახშული სამთავრობო ტელეარხებიდან.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი ადამიანი დავკარგოთ კოვიდით და მთავრობას ვაქცინა ვერ\არ შემოჰქონდეს.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ ვიღაც შარლატანებს „16 ევროდ 99 წლით“ აძლევდნენ გიგანტური ჰესების მშენებლობის უფლებას და განადგურების საფრთხე შეექმნას რიონის ხეობას.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ გელათი ნადგურდებოდეს, ვარძიის ფრესკებს ანახშირებდნენ და „მეტლახს“ აგებდნენ ყინწვისში...

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ ამდენი პრობლემის პირობებში ოლიგარქმა თავისი არაფრის მცოდნე და აგრესიის წამქეზებელი პოლიტიკური მონა დანიშნოს პრემიერ-მინისტრად.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ კრიტიკული შეკითხვების დასმის გამო ჟურნალისტს ფიზიკურად უსწორდებოდნენ ხელისუფლების აგრესიით წაქეზებული არამზადები.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა მატყუარა და საშიში ოლიგარქი, რომელიც, როგორც ჩანს, ყველანაირ უმსგავსობაზეა წამსვლელი, ოღონდ კი არაფერი დაემუქროს მის ძალაუფლებას.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა მიშა.

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, ველარ ვარჩევდე, სადაა ტროლი და სად ადამიანი...

აბა, მიშა გინდათ?

– აღარ მინდა კომენდანტის საათი...

აბა, მიშა გინდათ?

– აღარ მინდა ჩამოშლილი ლარი...

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ „მამებმა“ და „ბაბუებმა“ მუდმივად ჩაგრონ და ჭამონ „შვილები“ და ახალ თაობას არა და არ მიეცეს საკუთარი ნიჭისა და უნარების გამოვლინების შესაძლებლობა, მათ შორის, პოლიტიკაში...

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა, რომ ქალებს კლავდნენ და ბავშვები თავს იკლავდნენ უფროსთა შეუბრალებლობისგან...

აბა, მიშა გინდათ?

– აღარ მინდა ამდენი პოლიტიკაზე ფიქრი და ლაპარაკი...

აბა, მიშა გინდათ?

– არ მინდა...

რა „არ გინდა“? აბა, მიშა გინდა?

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.



## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

# შედეგები

## 27 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ვესტ ჰემი ............ 2:1
ვესტ ბრომვიჩი-ბრაიტონი ............ 1:0
ლიდსი-ასტონ ვილა ............ 0:1
ნიუკასლი-ვულვზი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 26 | 19 | 5 | 2 | 52-16 | 62 |
| 2.მანჩესტერი | 25 | 14 | 7 | 4 | 53-32 | 49 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 44-27 | 49 |
| 4.ვესტ ჰემი | 26 | 13 | 6 | 7 | 40-31 | 45 |
| 5.ჩელსი | 25 | 12 | 7 | 6 | 41-25 | 43 |
| 6.ლივერპული | 25 | 11 | 7 | 7 | 45-34 | 40 |
| 7.ევერტონი | 24 | 12 | 4 | 8 | 37-33 | 40 |
| 8.ასტონ ვილა | 24 | 12 | 3 | 9 | 38-26 | 39 |
| 9.ტოტენჰემი | 24 | 10 | 6 | 8 | 37-27 | 36 |
| 10.ლიდსი | 26 | 11 | 2 | 13 | 43-44 | 35 |
| 11.არსენალი | 25 | 10 | 4 | 11 | 31-26 | 34 |
| 12.ვულვზი | 26 | 9 | 7 | 10 | 27-33 | 34 |
| 13.კრ.პალასი | 25 | 9 | 5 | 11 | 29-43 | 32 |
| 14.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 31-43 | 30 |
| 15.ბარნლი | 25 | 7 | 7 | 11 | 18-30 | 28 |
| 16.ბრაიტონი | 26 | 5 | 11 | 10 | 26-33 | 26 |
| 17.ნიუკასლი | 26 | 7 | 5 | 14 | 27-44 | 26 |
| 18.ფულემი | 25 | 4 | 10 | 11 | 21-32 | 22 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 3 | 8 | 15 | 20-55 | 17 |
| 20.შეფილდი | 25 | 3 | 2 | 20 | 15-41 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბორნმუთი-უოტფორდი ............ 1:0
ბარნსლი-მილუოლი ............ 2:1
ბირმინგემი-ქპრ ............ 2:1
ბლექბერნი-ქოვენთრი ............ 1:1
ბრენტფორდი-სტოკი ............ 2:1
ლუთონი-უენსდი ............ 3:2
მიდსლბრო-კარდიფი ............ 1:1
პრესტონი-ჰადერსფილდი ............ 3:0
როტერჰემი-რედინგი ............ 0:1
სუონსი-ბრისტოლი ............ 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-კიოლნი ............ 5:1
დორტმუნდი-არმინია ............ 3:0
ვოლფსბურგი-ჰერტა ............ 2:0
შტუტგარტი-შალკე ............ 5:1
ლაიფციგი-გლადბახი ............ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 16 | 4 | 3 | 67-32 | 52 |
| 2.ლაიფციგი | 23 | 15 | 5 | 3 | 43-20 | 50 |
| 3.ვოლფსბურგი | 23 | 12 | 9 | 2 | 37-19 | 45 |
| 4.აინტრახტი | 23 | 11 | 9 | 3 | 46-32 | 42 |
| 5.დორტმუნდი | 23 | 12 | 3 | 8 | 48-31 | 39 |
| 6.ლევერკუზენი | 22 | 10 | 7 | 5 | 40-24 | 37 |
| 7.უნიონი | 22 | 8 | 9 | 5 | 35-25 | 33 |
| 8.გლადბახი | 23 | 8 | 9 | 6 | 40-36 | 33 |
| 9.შტუტგარტი | 23 | 8 | 8 | 7 | 44-36 | 32 |
| 10.ფრაიბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 35-34 | 31 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 22 | 7 | 5 | 10 | 36-39 | 26 |
| 12.ვერდერი | 22 | 6 | 8 | 8 | 26-32 | 26 |
| 13.აუგსბურგი | 22 | 6 | 5 | 11 | 22-35 | 23 |
| 14.კიოლნი | 23 | 5 | 6 | 12 | 21-41 | 21 |
| 15.ჰერტა | 23 | 4 | 6 | 13 | 26-42 | 18 |
| 16.არმინია | 22 | 5 | 3 | 14 | 18-41 | 18 |
| 17.მაინცი | 22 | 4 | 5 | 13 | 23-43 | 17 |
| 18.შალკე | 23 | 1 | 6 | 16 | 16-61 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ვიურცბურგერი ............ 3:0
ჰანოვერი-ფიურტი ............ 2:2
კილი-აუე ............ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-უესკა ............ 1:1
სევილია-ბარსელონა ............ 0:2
ალავესი-ოსასუნა ............ 0:1
ხეტაფე-ვალენსია ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 23 | 17 | 4 | 2 | 45-16 | 55 |
| 2.ბარსელონა | 25 | 16 | 5 | 4 | 55-22 | 53 |
| 3.რეალი | 24 | 16 | 4 | 4 | 42-19 | 52 |
| 4.სევილია | 24 | 15 | 3 | 6 | 34-18 | 48 |
| 5.სოსიედადი | 24 | 11 | 8 | 5 | 41-20 | 41 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 8 | 13 | 3 | 33-25 | 37 |
| 7.ბეტისი | 24 | 11 | 3 | 10 | 32-38 | 36 |
| 8.ლევანტე | 25 | 7 | 11 | 7 | 35-34 | 32 |
| 9.გრანადა | 24 | 8 | 6 | 10 | 29-41 | 30 |
| 10.ბილბაო | 24 | 8 | 6 | 10 | 34-28 | 30 |
| 11.სელტა | 24 | 7 | 8 | 9 | 29-36 | 29 |
| 12.ოსასუნა | 25 | 7 | 7 | 11 | 23-33 | 28 |
| 13.ხეტაფე | 25 | 7 | 6 | 12 | 20-30 | 27 |
| 14.ვალენსია | 25 | 6 | 9 | 10 | 30-35 | 27 |
| 15.კადისი | 24 | 6 | 7 | 11 | 21-40 | 25 |
| 16.ალავესი | 25 | 5 | 7 | 13 | 20-39 | 22 |
| 17.ეიბარი | 25 | 4 | 10 | 11 | 20-28 | 22 |
| 18.ვალიადოლიდი | 24 | 4 | 9 | 11 | 22-35 | 21 |
| 19.ელჩე | 23 | 4 | 9 | 10 | 20-34 | 21 |
| 20.უესკა | 25 | 3 | 11 | 11 | 22-36 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რაიო-პონფერადინა ............ 1:1
ალმერია-ლუგო ............ 4:1
კასტელონი-ლას პალმასი ............ 4:0
ლოგრონიესი-მალიორკა ............ 0:1

**იტალია. სერია ა**

სპეცია-პარმა ............ 2:2
ბოლონია-ლაციო ............ 2:0
ვერონა-იუვენტუსი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 57-24 | 53 |
| 2.მილანი | 23 | 15 | 4 | 4 | 45-28 | 49 |
| 3.იუვენტუსი | 23 | 13 | 7 | 3 | 45-20 | 46 |
| 4.რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 47-35 | 44 |
| 5.ატალანტა | 23 | 12 | 7 | 4 | 53-31 | 43 |
| 6.ლაციო | 24 | 13 | 4 | 7 | 38-32 | 43 |
| 7.ნაპოლი | 22 | 13 | 1 | 8 | 47-25 | 40 |
| 8.სასუოლო | 23 | 9 | 8 | 6 | 37-34 | 35 |
| 9.ვერონა | 24 | 9 | 8 | 7 | 31-27 | 35 |
| 10.სამპდორია | 23 | 9 | 3 | 11 | 33-34 | 30 |
| 11.ბოლონია | 24 | 7 | 7 | 10 | 32-37 | 28 |
| 12.ჯენოა | 23 | 6 | 8 | 9 | 26-33 | 26 |
| 13.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 25-35 | 25 |
| 14.სპაცია | 24 | 6 | 7 | 11 | 32-43 | 25 |
| 15.ბენევენტო | 23 | 6 | 7 | 10 | 25-42 | 25 |
| 16.უდინეზე | 23 | 6 | 7 | 10 | 25-33 | 25 |
| 17.ტორინო | 23 | 3 | 11 | 9 | 33-41 | 20 |
| 18.კალიარი | 23 | 3 | 6 | 14 | 24-41 | 15 |
| 19.პარმა | 24 | 2 | 9 | 13 | 19-47 | 15 |
| 20.კროტონე | 23 | 3 | 3 | 17 | 23-55 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

კოზენცა-კიევო ............ 1:0
კრემონეზე-ფროზინონე ............ 4:0
პესკარა-ლეჩე ............ 1:1
პიზა-ვიჩენცა ............ 2:2
პორდენონე-ასკოლი ............ 1:1
სპალი-რეჯინა ............ 1:4
მოცა-ჩიტადელა ............ 0:0
ვირტუსი-ბრეშა ............ 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ბორდო-მეცი ............ 1:2
დიჟონი-პსჟ ............ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 26 | 17 | 7 | 2 | 46-16 | 58 |
| 2.პსჟ | 27 | 18 | 3 | 6 | 61-17 | 57 |
| 3.ლიონი | 26 | 16 | 7 | 3 | 54-24 | 55 |
| 4.მონაკო | 26 | 16 | 4 | 6 | 54-37 | 52 |
| 5.მეცი | 27 | 11 | 8 | 8 | 33-26 | 41 |
| 6.ლანსი | 26 | 11 | 7 | 8 | 37-35 | 40 |
| 7.მარსელი | 25 | 10 | 8 | 7 | 33-29 | 38 |
| 8.რენი | 26 | 10 | 8 | 8 | 33-30 | 38 |
| 9.მონპელიე | 26 | 11 | 5 | 10 | 43-46 | 38 |
| 10.ანჟე | 26 | 10 | 5 | 11 | 30-40 | 35 |
| 11.ბორდო | 27 | 9 | 6 | 12 | 28-33 | 33 |
| 12.ნიცა | 27 | 9 | 5 | 13 | 33-39 | 32 |
| 13.ბრესტი | 26 | 9 | 4 | 13 | 39-47 | 31 |
| 14.რეიმსი | 26 | 7 | 9 | 10 | 32-34 | 30 |
| 15.სტ.ეტიენი | 26 | 7 | 9 | 10 | 26-37 | 30 |
| 16.სტრასბური | 26 | 8 | 5 | 13 | 34-40 | 29 |
| 17.ნიმი | 26 | 7 | 3 | 16 | 25-51 | 24 |
| 18.ნანტი | 26 | 4 | 11 | 11 | 26-41 | 23 |
| 19.ლორიანი | 26 | 6 | 5 | 15 | 31-50 | 23 |
| 20.დიჟონი | 27 | 2 | 9 | 16 | 18-44 | 15 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ტრუა-აიაჩო ............ 1:0
ტულუზა-ამიენი ............ 3:0
გრენობლი-ნიორი ............ 1:1
დიუნკერკი-შამბლი ............ 1:1
კაენი-პარიზი ............ 0:2
კლერმონი-ვალანსიენი ............ 4:0
ოსერი-როდეზი ............ 0:1
პო-ლე ავრი ............ 2:0
სოშო-გენგამი ............ 0:0
შატორუ-ნანსი ............ 1:4

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

უტრეხტი-ემენი ............ 0:1
დენ ჰააგი-ვალვაიკი ............ 0:0
ვიტესი-ვენლო ............ 4:1
ერაკლესი-ტვენტე ............ 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფამილიკაო-ფარენსე ............ 0:0
სანტა კლარა-ფერეირა ............ 3:0
პორტუ-სპორტინგი ............ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ხიმკი-უფა ............ 2:1
ზენიტი-როსტოვი ............ 2:2
ლოკომოტივი-ცსკა ............ 2:0
სოჭი-არსენალი ............ 4:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ტიროლი ............ 1:1
ლინცერი-ჰარტბერგი ............ 1:2
რაპიდი-რიდი ............ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-დ.იუნაიტედი ............ 1:1
სელტიკი-აბერდინი ............ 1:0
სტ.მირენი-როსი ............ 1:0
ჰიბერნიანი-მოზერველი ............ 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-ბევერენი ............ 2:0
ოსტენდე-მეხელენი ............ 2:0
კორტრაიკი-ვარეგემი ............ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ალანია ............ 2:0
ჰატაი-ანკარაგიუჯიუ ............ 4:1
ანთალია-ბაშაქშეჰირი ............ 0:0
რიზე-სივასი ............ 0:0
გალათასარაი-ერზრუმი ............ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ოფი ............ 2:1
ასტერასი-პაოკი ............ 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ოპავა-იაბლონეცი ............ 0:1
ბანიკი-ტეპლიცე ............ 1:1
ბოჰემიანსი 1905-ჩესკე ............ 1:1
ბრნო-პლზენი ............ 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-ციურიხი ............ 3:1
სტ.გალენი-ბაზელი ............ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სტალი-ლეხია ............ 0:1
იაგელონია-პიასტი ............ 0:1
გურნიკი-ლეგია ............ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-დნიპრო ............ 2:2
ვორსკლა-ოლექსანდრია ............ 3:1
კოლოსი-რუხი ............ 1:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ქუთაისმა მოგება გაიხსენა, ვერა მწვრთნელებს იცვლის

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მა წუთშესვენება აიღო და თავისიანებს დარიგება მისცა, რასაც ბათუმელები ზუსტად მისდევდნენ და შედეგად ჩამორჩენის შემცირება იწყეს. მეორე პერიოდის დარჩენილ დროში სწრაფი შეტევებითა და ზუსტი შორი სროლებით აჭარულმა კლუბმა დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირა.

მესამე პერიოდში ბათუმელებმა გაილაღეს და ჯერ ჩამორჩენა ბოლომდე გააბათილეს, შემდეგ წინაც გავიდნენ. მესამე პერიოდის 21:10 მოგების შემდეგ სტუმრები გალიდერდნენ და თამაშის დარჩენილი დრო ისე ჩაამთავრეს, მეტოქე ახლოს არ გაიკარეს. საბოლოოდ ბათუმმა 75:64 იმარჯვა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

აჭარელებს 13 ქულით, 15 მოხსნითა და 8 პასით ნიკოლა ვუიოვიჩმა ულიდერა. 17 ქულა და 5 პასი ანტუან ჯონსონმა მიითვალა, ბექა ბექაურის ანგარიშზე 15 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა. მგზავრებში 18 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო იყო სოსო გოგნაძე, 17 ქულა და 9 მოხსნა ტეილორ ედვეიმ მიითვალა.

**ტიტები-ვერა 51:80**

**(17:23, 6:20, 21:18, 7:19)**

ეს გუნდები ცხრილის ქვედა ნახევარში გვერდიგვერდ არიან და საიმისოდ იბრძვიან, რომ გასავარდნ ზონას დაშორდნენ.

ვერელებს სტაბილურობა როგორც შედეგებში, ისე შემადგენლობაში აკლიათ. გუნდმა მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი მწვრთნელი შეცვალა – ვერას მიმდინარე სეზონში უკვე მესამე მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ირაკლი ხოშტარიას შემდეგ თბილისური გუნდი ლევან ფაცაციასაც დაშორდა და ტიტებთან დღევანდელ მატჩში ვერელთა მთავარი მწვრთნელი კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი დავით გასიტაშვილი გახლდათ.

ცალკე თემაა კალათბურთელები, რომლებიც ვერელებმა შეცვალეს. ასეა თუ ისე, ამ გუნდს არ აკლია ბრძოლისუნარიანობა და გაცილებით სტაბილური შემადგენლობის მყოლსა და მეტი გამარჯვების მქონე ტიტებს დამაჯერებლადა სძლია. ეს უფრო ჰგავდა ერთი კაცის შოუს. ვერელთა ამერიკელი ლეგიონერი ბრაისონ სკოტი სუპერლიგის ყველაზე არაორდინარული მექულეა. მას ბურთის ჩაგდება ნებისმიერი ვითარებიდან შეუძლია და მეტოქის ფარს გამუდმებით უტევს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სროლა-შეტევათა უმეტესობას სკოტი წარმატებით აგვირგვინებს. მან ტიტებს 19 სროლიდან 15 ჩაუგდო და ბრაისონმა ჯამში 34 ქულა მოინაგრა, რაც სრულებით საკმარისი აღმოჩნდა ტიტების გასატეხად.

მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილ ტიტებს კი ტრავმის გამო მთავარი გამთამაშებელი ჯორდონ თალი აკლდა. მის არყოფნაში ვერ გაილაღა მეორე ამერიკელმა ბომბარდირმა ტაილან ბირტსმა. ტიტებმა ერთადერთი – მესამე პერიოდი მოიგო, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. ვერელებმა განსაკუთრებით მეორე პერიოდში გაილაღეს, როცა ათწუთეული 20:6 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 20-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. ზემოთნახსენები მესამე პერიოდში ტიტებმა მხოლოდ 3 ქულა გაუბათილეს ეშხიანად მებრძოლ ვერელებს და ბოლო მეოთხედს 17-ქულიანი ჩამორჩენით შეხვდნენ.

ეს სხვაობა გაბათილებას რომ ექვემდებარება, ბათუმელებმაც დაამტკიცეს, მაგრამ არა ისეთი სცენარით მიმდინარე თამაშში, როგორიც ტიტები-ვერაა. სწრაფი და შეტევაში აგრესიული თამაშით გასიტაშვილის გაწვრთნილმა ვერელებმა კიდევ უფრო გაიმყარეს ლიდერობა და თამაშის ბოლოს 29-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს – 80:51.

ბრაისონ სკოტს ნახსენები 34 ქულის შესაგროვებლად გივი ბაქრაძე დაეხმარა, რომელმაც 13 პასი (7 ქულასთან ერთად) მიითვალა. 12 ქულით გამოირჩა ლუკა მაზიაშვილი. რაც შეეხება ტიტებს, გუნდის ბომბარდირობა 12-12 ქულით დავით ლომიძემ და პრინს უილიამსმა გაიყვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსთავი | 12 | 11 | 1 | 1025-875 | 23 |
| 2.ქუთაისი | 13 | 10 | 3 | 1205-1087 | 23 |
| 3.ოლიმპი | 13 | 7 | 6 | 1023-1042 | 20 |
| 4.თსუ | 13 | 7 | 6 | 1090-1106 | 20 |
| 5.ცხუმი | 13 | 6 | 7 | 1026-983 | 19 |
| 6.კაკტუსი | 13 | 6 | 7 | 966-1007 | 19 |
| 7.ბათუმი | 13 | 6 | 7 | 1110-1163 | 19 |
| 8.ვერა | 13 | 5 | 8 | 974-1019 | 18 |
| 9.ტიტები | 12 | 5 | 7 | 935-971 | 17 |
| 10.დინამო | 12 | 4 | 8 | 1039-1080 | 16 |
| 11.მგზავრები | 13 | 3 | 10 | 1005-1065 | 16 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ნაგვის ნაჭერმა ზღვაში გადავარდნილი მეზღვაური გადაარჩინა

წყნარ ოკეანეში საზღვაო ნაგვის ნაჭერი დაეხმარა გემიდან გადავარდნილ მეზღვაურს გადარჩენაში.

52 წლის მეზღვაური ვიდამ პერევერტილოვი სატვირთო ხომალდ Silver Supporte-ის ეკიპაჟის შემადგენლობაში იმყოფებოდა, რომელიც ტაურანგოიადან კუნძულ პიტკერნისკენ მიემართებოდა. თავისი მორიგეობის დასრულების შემდეგ მეზღვაურს დასცხა, თავბრუ დაეხვა და სულის მოსათქმელად გემბანზე გავიდა. რაღაც მომენტში პერევერტილოვმა გონება დაკარგა და გემბანიდან წყალში გადავარდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში მეზღვაური სიმხნევეს ინარჩუნებდა და თავის გადასარჩენად ცურვას აგრძელებდა. როდესაც მზის ამოსვლის დროისთვის მას ძალ-ღონე თითქმის გამოეცალა, შორიახლოს რაღაც შავი წერტილი შენიშნა. მისგან რამდენიმე კილომეტრში სათევზაო ბადის ტივტივა იპოვა. სწორედ ის დაეხმარა მას წყლის ზედაპირზე კიდევ ექვსი საათი გაეძლო. ექვს საათში კი, მას შემდეგ, რაც მეზღვაურის დაკარგვა აღმოაჩინეს, სატვირთო ხომალდი უკან დაბრუნდა და მეზღვაური გადაარჩინეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## განშორების 40 დღე



**ბატონო ადერკინ!**
**სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო მამულიშვილო,**
**ღირსების ორდენის კავალერო!**

რა დამავიწყებს იმ საოცარ დღეს, ერთ-ერთ ღონისძიებაზე ჩემმა ექსპრომტ-ლექსმა რომ მოგხიბლა და სამსახური შემომთავაზე.

მაშინ 74 წლის ვიყავი. არ მოველოდი, რომ ისევ ჩავდგებოდი შრომის ფერხულში. გაოცებულმა გიპასუხე: როგორ, ამ ასაკში?

გაგელიმა და, წლებით მდიდარმა, ამაყად მითხარი: „იცი, მე რამდენი წლისა ვარ?“

94 წლის ასაკში მედგრად იდექი ხანდაზმულთა სამსახურში. 2000 წელს საქართველოს პენსიონერთა კავშირის დამფუძნებელი, არასამთავრობო ქველმოქმედი ორგანიზაციის თავმჯდომარე, მზრუნველობას არ აკლებდი მათ (პროდუქტები, ტანსაცმელი, წამლები, მკურნალობა, კურორტები, კინოთეატრები, მატერიალური დახმარება და სხვა).

ორგანიზაციის ერთგული თანამშრომლების თანადგომით მათი დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვე.

შენ გვერდით მდგომი, დამარწმუნე, რომ სიბერე არ არსებობს, არსებობს წლების სიმრავლე.

100 წელი 27 დეკემბერს შეგისრულდა, 26 იანვარს კი შენმა საამაყო შვილებმა და მოსიყვარულე საზოგადოებამ გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე.

არავინ გაივლოს გულში, რამდენი უცოცხლიაო. თქვენნაირი ადამიანები არ უნდა კვდებოდნენ.

40 დღე მიიწურა, რაც უერთგულესი მეუღლის, ქალბატონი ნაზის გვერდით სამარადისოდ დაიდე ბინა. მსუბუქი იყოს თქვენთვის ზღაპრული ქართული მიწის საბანი! წუთისოფელი აქ ვინმეს დატოვებს?! გვენატრები.

**უშენობით ფრთამოტეხილი ორგანიზაციის კულტმენეჯერი**
**პოეტი ნანა დარჩიაშვილი**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამონაღვენთი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი; 3. ფრანგი მოქანდაკე, თავისუფლების ქანდაკების ავტორი ნიუ იორკში; 4. სამურაების მეთაური; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 17. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 18. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო.

**თარაზულად:** 1. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 5. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. რიხარდ შტრაუსის ოპერა; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 15. მდინარე პარიზში; 19. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ბადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. ტროპიკული პალმის ნაყოფი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქვაწვია; 2. მიურიდი; 3. მეთუნე; 4. ლისტი; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. გიტარა; 15. იკებანა; 16. ქაჯანა; 17. კეგლი; 18. ეგერი; 20. ძეგლი; 22. ლიდა.

**თარაზულად:** 6. ხარები; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. წახნაგი; 12. განდი; 13. ივერი; 14. აპატრიდი; 19. არეშიძე; 21. ჭედილა; 23. გურჯი; 24. პრეადა; 25. ანაკლია; 26. ჰიდრანტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დუნსტი; 2. სმალტა; 3. დედალოსი; 4. ტრიერი; 6. ბაბილონი; 8. ამიაკი; 11. ქობულაძე; 12. კონუნგი; 16. კუკია; 17. კიოტო; 18. პუდრი.

**თარაზულად:** 1. დნესტრი; 5. ქააბა; 7. ლეკლერი; 9. სლალომი; 10. ღერღედი; 13. კონსული; 14. ტორინო; 15. გოია; 19. გუდაური; 20. დინდგელი; 21. ბანდეროლი; 22. ლენონი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 მარტი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.3255 | ევრო — 4.0322 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6258 | 100 რუსული რუბლი — 4.4633 |

## ამინდის პროგნოზი 1 მარტისათვის








## 2 მარტიდან
## ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია
## ტომი 3
## ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## კლოპი: „დაცვის ხაზში პრობლემები გვაქვს“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ დაცვის ხაზში სერიოზული პრობლემები აქვთ, რადგან ცენტრალური მცველები ტრავმირებული არიან, მათი შემცვლელი კი ლივერპულს არ ჰყავს:

– ბოლო მატჩებში საკმაოდ ბევრ გოლს ვუშვებთ, რაც იმის ბრალია, რომ დაცვაში ფეხბურთელები გვაკლია, რის გამოც, ბუნებრივია, პრობლემები გვაქვს. იმედი მაქვს, რომ ვან დეიკის დაბრუნების შემდეგ ეს პრობლემები აღარ გვექნება.

## პედრი მინიმუმ 2 კვირას გამოტოვებს



ბარსელონის შემტევმა ნახევარმცველმა პედრიმ სევილიასთან ტრავმა მიიღო და ის, დიდი ალბათობით, მინიმუმ 2 კვირას გამოტოვებს, თუმცა, შესაძლოა, უფრო დიდი ხნის გამოტოვებაც მოუწიოს. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ჩაივლის სარეაბილიტაციო კურსი.

პედრის არყოფნა ბარსელონისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან წელს ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და კუმანი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

## ვერნერი თავისი ფორმით კმაყოფილი არ არის



ჩელსის ფორვარდმა ტიმო ვერნერმა თავის ფორმაზე ისაუბრა და თქვა, რომ უკეთეს ფორმაში უნდა იყოს და ბოლო პერიოდში თავისი თამაშით კმაყოფილი არ არის.

ვერნერის აზრით, ეს ყველაფერი მალე შეიცვლება:

– ვიცი, რომ უკეთესად უნდა ვითამაშო, რადგან გულშემატკივარი ჩემგან გოლებს ელის და ეს იმედები უნდა გავამართლო, თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის და ოპტიმალურ ფორმაში აუცილებლად შევალ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ქალი მღვდელს ეუბნება:

– მამაო! უფლება მომეცი, ქმარს გავშორდე!

– რაშია საქმე, შვილო ჩემო?

– სვამს! არა მუშაობს! მცემს!

– კი მაგრამ, ასეთ კაცს რატომ გაჰყევი ცოლად?

– სულელი ვიყავი!

– აი, ხედავ. მან კი ასეთი სულელი ცოლად მოგიყვანა.

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, რაღაც მემართება, ყველაფერი, რაც შემემთხვევა, ხუთ წუთში მავიწყდება.

– ჰოო, სერიოზულადაა საქმე, ძალიან სერიოზულად. კარგით, გაიხადეთ და დაწექით.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, შენ ხომ ისტორიკოსი ხარ და რომელ მეფეს შეგიძლია, რომ მიმამსგავსო?

– ფრანკების მეფეს.

– მაინც რომელს?

– პიპინ მოკლეს.

•••

მოსამართლე აცხადებს:

– ბრალდებულო, თქვენ მოიპარეთ 10 მილიონი ლარი და გადამალეთ. თქვენ 15 წლით პატიმრობა მოგესაჯათ. თქვენი საბოლოო სიტყვა.

– ბატონო მოსამართლევ. მე ლეგენდები მიყვარს. ერთხელ მგელმა 10 მილიონი ცხვარი მოიპარა. ის მონადირემ დაიჭირა და მოკვლა დაუპირა. მაშინ მგელმა მას უთხრა: „მონადირევ, არ მომკლა და 5 მილიონ ცხვარს მოგცემ“. მონადირე დაეთანხმა მის წინადადებას. ყველა კმაყოფილი დარჩა და დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

– ამრიგად, სასამართლომ გადახედა განაჩენს, ის მოიხიბლა ლეგენდების მიმართ თქვენი სიყვარულით და დაადგინა, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გივი სიხარულიძე 77 წლისაა



მსახიობი და მწერალი გივი სიხარულიძე იუბილარია. მას 77 წელი შეუსრულდა. იუბილარმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

პაატა იოსებაშვილი:

– ადამიანური ურთიერთობების ჭეშმარიტ ამაგდარს, მწერალსა და პოეტს, მსახიობს, პროფესიონალ მოცეკვავეს, თბილისისა და საქართველოს კოლორიტს, საზოგადო მოღვაწეს, ხალხის სიყვარულით გულგაჯერებულს, ძვირფას მეგობარს გივი სიხარულიძეს ვულოცავ დაბადების დღეს!

ბატონო გივი, ციფრი 7 ჩემი საყვარელი ციფრია. მამაზეციერს ორი შვიდიანით დაუჯილდოებიხართ – 77. გისურვებთ კიდევ ერთხელ 77-ს, ჯანმრთელობით, თქვენი ჩვეული მხნეობითა და გამჭრიახობით.

თქვენი ცხოვრების არსი მწერლობაა, პოეზია, პროზა, ნოველები. გამოცემული გაქვთ ასობით წიგნი. ახლახან გამოვიდა თქვენი ახალი კრებული. წარმატებას გისურვებთ!

თქვენი სახელი ცნობილია, როგორც ერთგული და ამაგდარი ქართულ-ებრაული ურთიერთობისა და გვერდში მდგომი ორი მოძმე ერის უკვდავ მეგობრობასთან, რასაც ძალიან ვაფასებ, რამაც დამაახლოვა თქვენთან!

ძვირფასო გივი, გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, უწყვეტ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ბედნიერ წელთა სიმრავლეს, ძმაბიჭებში და თქვენს საყვარელ დაქალებში უხვად მოლხენას, ულევ სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას თქვენს უსაყვარლეს ოჯახთან და უერთგულეს ხალხთან ერთად!

## რობერტ სტურუა პრემიერით ბრუნდება



რუსთაველის თეატრი ახალ 142-ე სეზონს პრემიერით გახსნის. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა დიდ სცენაზე წარმოადგენს სპექტაკლს „ერთხელ... მხოლოდ...“.

2, 3 და 4 აპრილს გათამაშდება ზმანება ერთ აქტად, რომლის იდეის ავტორი, რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი რობერტ სტურუაა. წარმოდგენის მხატვრობაზე ანა ნინუამ იმუშავა, ქორეოგრაფიაზე – კოტე ფურცელაძემ.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ მანანა აბრამიშვილი, ნიკა ქაცარიძე, ქეთი ხიტირი, ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, მარინა კახიანი, დავით გოცირიძე.

## რაულ ჩილაჩავა უკრაინაში დააჯილდოვეს



ქართველი პოეტი და მთარგმნელი რაულ ჩილაჩავა უკრაინაში დააჯილდოვეს.

შემოქმედს ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის ლესია უკრაინკას სახელობის საერთაშორისო პრემია მიანიჭეს.

რაულ ჩილაჩავა წლებია, უკრაინაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ამ ჯილდომდე მას უკრაინის სახალხო პოეტის წოდებაც მიენიჭა.

## სოსო ჩხაიძის „შვიდკაცა“ აღმოჩენილია



რეჟისორ სოსო ჩხაიძის ნამუშევარი „შვიდკაცა“ აღმოჩენილია. ინფორმაცია ამის შესახებ რევაზ მახათაძემ გაავრცელა:

– რამდენიმე დღის წინ ვიპოვეთ კოლოფი, რომლის წარწერამაც დაგვაინტერესა, აღმოჩნდა სოსო ჩხაიძის კინოფილმი „შვიდკაცა“. იმედი გვაქვს, კიდევ საინტერესო კინომასალებს აღმოვაჩენთ, მიუხედავად დაუფინანსებლობისა და ხელის შეშლისა.

## ქალმა შეკვეთილი iPhone-ს ნაცვლად ვაშლის იოგურტი მიიღო



ჩინეთში ქალმა 250 გიგაბაიტიანი ახალი iPhone 12 Pro Max შეუკვეთა, რომელშიც 10.099 იუანი გადაიხადა, მაგრამ სმარტფონის ნაცვლად ამანათით ვაშლის იოგურტი მიიღო.

ჩინელის მტკიცებით, მან შეკვეთა iPhone-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განახორციელა. თავად კომპანიამ და შეკვეთების მიმწოდებელმა სამსახურმა აღნიშნული შემთხვევის შემოწმება დაიწყეს, ხოლო ადგილობრივმა პოლიციამ ინციდენტს ქურდობის კვალიფიკაცია მიანიჭა.

იურისტმა ჩჟან ბომ მომხდარის კომენტირებისას აღნიშნა, რომ შესაძლოა, საუბარი იყოს ფიშინგურ ვებგვერდზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინტერნეტის მომხმარებლებს საკუთარი თავის ყალბი ვებგვერდებისგან დაცვა უნდა შეეძლოთ. ექსპერტმა მათ ასევე ურჩია, რომ მიღებული ამანათი კურიერის თვალწინ შეამოწმონ, ხოლო როდესაც აღმოაჩენენ, რომ მასში შეკვეთილის ნაცვლად სხვა ნივთია, პოლიცია გამოიძახონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამეფო უბნის თეატრი ახალ პროექტს იწყებს




სამეფო უბნის თეატრი და მსახიობი გაგა შიშინაშვილი მაყურებელს სიახლეს სთავაზობენ.

პირველი მარტიდან ერთი კვირის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება დილის შოუ, რომელიც შექსპირის შემოქმედებას გააერთიანებს:

– დაიწყეთ ყოველი დილა ტრაგიკული ამბით! მსახიობი გაგა შიშინაშვილი 1 მარტიდან ერთი კვირის განმავლობაში გთავაზობთ დილის შოუს პირველ სეზონს სამეფო უბნის თეატრის გვერდზე. შექსპირი ცარიელ სცენაზე, უმაყურებლოდ და პოეზიის გარეშე. პირდაპირ ეთერში უსმენთ და უყურებთ იმას, რაც თეატრიდან დარჩა, – ნათქვამია სამეფო უბნის თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 1 მარტისათვის



**ვერძი** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა საჭირო არ არის. ფინანსური ოპერაციებისას ფრთხილად იყავით. **კურო** – ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. მეტი სირბილე და მოქნილობა გმართებთ. **ტყუპები** – პასიური დღეა. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი შეწყვიტეთ. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, მაგრამ ექსპერიმენტებისგან თავი უნდა შეიკავოთ. უმჯობესია, მშვიდად იმუშაოთ. **ლომი** – აჩქარება დაგაზარალებთ. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. **ქალწული** – თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **სასწორი** – შესაფერისი პერიოდია ხელშეკრულებების გასაფორმებლად, საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. ექსპერიმენტებს ნუ გამოედევნებით. **ღრიანკალი** – ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. კარგი იქნება, თუ ამ დღეს მეგობრების გარემოცვაში გაატარებთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე შემოქმედებითი აღმავლობით გამოირჩევა. ძალიან გაგიმართლებთ. **თხის რქა** – ახალ საქმე ნუ დაიწყებთ. ნებისმიერი ინიციატივა უშედეგო იქნება. ფინანსებს გაუფრთხილდით. **მერწყული** – კარგი პერიოდია საქმიანი შეხვედრებისათვის. მეგობრებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. მიენდეთ ინტუიციას. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად იღბლიანი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 2. ეკლესია ქუთაისში; 3. მხარე ავსტრიაში; 4. ბრაზილიური ცეკვა; 5. ჭარხლისგან შაქრის მისაღები აპარატი; 7. ავსტრალიური სირაქლემა; 11. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქების პროცესი; 16. ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ამერიკელი მოცურავე მამაკაცი; 17. ვეშაპებზე სანადირო, სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე ლონდონში; 22. პოლონეთის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. საქართველოს პრემიერ– მინისტრი; 9. არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების სახელწოდება ძველად; 10. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. სამეჯლისო ცეკვა; 13. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 14. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*